# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 8 დეკემბერი 2006 №284 (2906) ფასი 50 თეთრი




## ფუენტესის კოდი



### ბარსელონას, რეალს, ვალენსიას და ბეტისს სისხლისა და სკანდალის სუნი ასდით

### ალაპარაკებულ ექიმს მოკვლით ემუქრებიან

ფრანგულმა „ლე მონდმა“ მთელი ესპანეთი შეაზანზარა. გაზეთმა გამოაქვეყნა ინტერვიუ ეუფემიანო ფუენტესთან, რომელმაც ირიბად მიანიშნა, რომ 2005-2006 წლების სეზონის წინ „რეალს“, „ბარსელონას“, „ვალენსიას“ და „ბეტისს“ მომზადებაში ეხმარებოდა.

ეუფემიანო ფუენტესი ესპანელი ექიმია. იგი მაისში დააკავესველომრბოლელებთან დაკავშირებული დოპინგ-სკანდალის გამო. „ლე მონდი“ კი ამტკიცებს, რომ ფუენტესს გააჩნია ქაღალდები, რომლებზეც მისივე ხელით ნაწერი რეკომენდაციებია ფიზიკური მომზადების თაობაზე. ჟურნალისტები ამბობენ, რომ მათ ნახეს ესპანეთის ორი უდიდესი გუნდის მოსამზადებელი გეგმა 2005-2006 წლების სეზონისთვის. ნაწერები ალაგ-ალაგ კოდირებულია, რომლის ქვეშაც გამომძიებლის აზრით, დოპინგის კვალია დამალული.

ექიმი აცხადებს: „კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი, რადგან ჩემი ოჯახის წევრებს და მე სერიოზული პრობლემები შეგვექმნება. ვადასტურებ, რომ ერთდროულად ვთანამშრომლობდი ესპანეთის პირველი და მეორე დივიზიონების გუნდებთან. ზოგჯერ უშუალოდ ფეხბურთელებს ვეხმარებოდი, ზოგჯერ კი კლუბების ექიმებს რჩევებს ვაძლევდი. იტალიურ გუნდებსაც სურდათ ჩემთან საქმის დაჭერა, მაგრამ ვიუარე.“

ექიმმა იტალიელთა ვინაობა არ გაამხილა. ისე კი, ეუფემიანო ფუენტესი მხოლოდ ველომრბოლელებთან და ფეხბურთელებთან კი არა, ჩოგბურთელებთანაც თანამშრომლობდა...

გუშინვე ოთხივე ესპანურმა კლუბმა, რა თქმა უნდა, უარყო ყოველგვარი კავშირი ექიმ ფუენტესთან, რომელმაც, თავისმხრივ, დამატებით კომენტარის გაკეთება იუარა, რადგან ამ ინფორმაციის გამჟღავნების გამო მავანი მოკვლით დამუქრებია.

დოპინგის საქმე, სახელწოდებით „ოპერასიონ პუერტო“ მაისში აგორდა, როცა პოლიციამ მადრიდსა და სარაგოსაში რამდენიმე ბინაში ლაბორატორია აღმოაჩინა. ბინებში იპოვეს ანაბოლიკური სტეროიდები, სისხლის გადასასხმელი აპარატები და ასზე მეტი პოლიეთილენის პაკეტი გაყინული სისხლით.



### საქართველომ გერმანია მალტით დააკმაყოფილა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა მეორე მატჩშიც დაამარცხა მალტა, ამჯერად 2:0. ამგვარად, ჰაინც ტოპმიოლერის შეგირდებმა ორი მატჩის ჯამში 5:0 აჯობეს კუნძულელ თანატოლებს და ხვალ გამთენიისას დაბრუნდებიან შინ. გერმანელი მწვრთნელები მალტური შეკრებით და შეგირდების თამაშით კმაყოფილნი დარჩნენ და იმედი აქვთ, რომ გაისად მაისში გასამართ ელიტ-რაუნდს გუნდი სრულ მზადყოფნაში შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ციკლში ქართველების მეტოქეები შოტლანდია, პორტუგალია და თურქეთი არიან, ტურნირს კი შოტლანდია უმასპინძლებს.

## ოვალური ფინალი: პირველად თუ მეექვსედ?

### დინამომ თავისი და ლელო გაიტანა

### ლოკომ ორიდან ერთი ცამეტი დასვა

სარაგბო სარბიელად ქცეულ „შევარდენზე“ გუშინ გვარიანი ჯახები გაიმართა. საქართველოს ჩემპიონატის ბოლომდე დაძაბულ და უშელავათო ნახევარფინალურ შეხლებში ერთმანეთს ჯერ „დინამო“ და „ლელო“ ეკვეთნენ, შემდეგ კი „ლოკომოტივი“ და „ყოჩები“. ბოლო ხანს მოსუსტებულმა და პლეი ოფში მეოთხე ადგილიდან გასულმა „ყოჩებმა“ დრამატიზმით აღსავსე მატჩში ძველ მეტოქე „ლოკოს“ არაფერი დაუთმეს და მსაჯის წამატებულ წუთებზე, როცა ანგარიში 13:13 იყო, საჯარიმო რომ არ გაეშვათ, არავინ იცის, დამატებით დროში რა მოხდებოდა.

„ლელოს“ 26:19 მჯობნი და ფინალში პირველად გასული „დინამო“ კი არც ხუთგზის ჩემპიონ „ლოკომოტივთან“ დამთმობი ჩანს და თუ 13 დეკემბრის გადამწყვეტ ჯახშიც არ უმტყუნა მუხლმა და იღბალმა, ვინ იცის, ქართულ რაგბის ახალი ჩემპიონი მოევლინოს.





# საქართველომ ერთ დღეში ორჯერ ივარჯიშა


ბექა გოცირიძემ (№8) და რატი წინამძღვრიშვილმა (№10) მალტელებს ორივე მატჩში გაუტანეს

გუშინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა მეორე ამხანაგური მატჩი გამართა მალტასთან და ამჯერადაც იმარჯვა — 2:0.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრები 29-ე წუთზე კაცნაკლული დარჩა, უპირატესობა მაინც ჩვენებისა იყო. გასაძევებლად კი მსაჯმა ალექსი ბენაშვილი გაიმეტა, თუმც, როგორც გითხარით, ამით მასპინძლებმა ვერ იხეირეს.

პირველი გოლი ჩვენებმა მე-4 წუთზე გაიტანეს: რატი წინამძღვრიშვილის პასით ბექა გოცირიძემ იყოჩალა.

მალტელებს ერთი ურეალურესი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მეკარე როინ კვასხვაძე შესანიშნავად გაისარჯა და კარი მშრალად შეინახა.

მეორე ტაიმი სამი წუთის დაწყებული იყო, ჩვენებმა ერთხელაც რომ იხეირეს: ლევან ყენიამ წინამძღვრიშვილს გაატანინა.

სხვათა შორის, 16 წლის ყენია ესპანური „ლევანტედან" ფეხმტკივანი შეუერთდა ნაკრებს და მწვრთნელები მის დატვირთვას არც აპირებდნენ, თუმცა ბოლოს თავად ლევანის თხოვნას დათანხმდნენ და... ნამატჩევს ჰაინც ტოპმიოლერმა თქვა:

„ყენია ყველაზე უმცროსია გუნდში, მაგრამ, ამის მიუხედავად, შესანიშნავად ითამაშა. მას დიდი მომავალი აქვს."

რაც შეეხება შეხვედრას, უფროსი ტოპის შეფასება ასეთია:

„კარგია, რომ ორივე მატჩი მოვიგეთ, თანაც ისე, რომ გოლი არ გაგვიშვია. სიურპრიზი იყო როინ კვასხვაძის კარგი თამაში — მისი სახით ნიჭიერი მეკარე გვყავს და იმედია, ამაში მომავალიც დაგვარწმუნებს. ამ შეკრებას დადებითად ვაფასებ. ბიჭების მომზადებით კმაყოფილი დავრჩი."

აქვე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაც: *რ. კვასხვაძე, გვაძაბია, დ. მჭედლიშვილი, თოთაძე, ბენაშვილი, ბჟალავა (დაუშვილი 69), თარგამაძე (ელბაქიძე 30), ყენია, მჭედლიძე (ნ. კვასხვაძე 66), გოცირიძე, წინამძღვრიშვილი.*

საქართველოს ნაკრები თბილისში ხვალ გამთენიისას დაბრუნდება.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# არუდაშვილი გავარდნაში ტრაგედიას ვერ ხედავს

## კახეთიდან შვიდი ფეხბურთელი წავიდა



თელავის „კახეთი" მძიმე დღეშია. გუნდს ერთადერთი ქულა აქვს და ეროვნულ ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა. ამას ისიც დაერთო, რომ გუნდი უკვე დატოვეს ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებმა — სოსელიამ, მაღლაკელიძემ, წუწუნავამ, სიხარულიძემ, ბედოიძემ, ბურდულმა და ტარულაშვილმა. ამის მიუხედავად, თელაველთა მოთამაშე-მწვრთნელი ვასილ არუდაშვილი იმედიანადაა...

— სეზონი დასრულდა, მაგრამ კვირაში სამჯერ ბიჭები მაინც ვარჯიშობენ.

**— როგორც ვიცით, გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა...**

— ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელმა კლუბი მეთერთმეტე ტურის შემდეგ დატოვა და ამიტომ ვათამაშეთ ბოლო მატჩებში ახალგაზრდები. ვფიქრობ, „კახეთისთვის" ამ ბიჭებთან მუშაობა გაცილებით მომგებიანი იქნება.

**— შეძლებთ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას?**

— ვეცდებით, ბოლომდე ვიბრძოლოთ, თუმცა, თუ გუნდი გავარდა, მეც და ხელმძღვანელობაც ამაში დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავთ.

**— ფეხბურთელების დამატებას არ აპირებთ?**

— ცნობილი მოთამაშეების მოყვანა არ იგეგმება, სხვადასხვა გუნდში მიმოფანტული აქაური ფეხბურთელების დაბრუნებას უფრო ვეცდებით.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიონი შეიკრიბა და კიდევ შეიკრიბება

ბოლნისის „სიონმა" გუშინ კრება ჩაატარა, სადაც დიდად მნიშვნელოვანი არაფერი გადაწყვეტილა, ანუ ჯერაც უცნობია, წავა თუ არა გუნდი მოსკოვში გასამართ „თანამეგობრობის თასზე".

სამ ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი რომ დაუმთავრდა, ამაზე უკვე გვეწერა, თუმცა მათ „სიონიდან" წასვლა ჯერ არ გადაუწყვეტიათ. „სიონი" ოთხ დღეში ერთხელაც შეიკრიბება და დეტალურად მაშინ გადაწყდება ყველაფერი. გუშინ კი ფეხბურთელებს პრემიები დაურიგეს და შვებულებაში გაუშვეს.

**ოთარ მხეიძე**

# შაშიაშვილი კანკავამ გააოცა



ოდესის „ჩერნომორეცის" ქართველმა ლეგიონერმა გიორგი შაშიაშვილმა სეზონი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო, თუმცა შემდეგ გარკვეული ხნით სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. მოგვიანებით შაშიაშვილმა იტალიის ნაკრების კარში შესანიშნავი გოლი გაიტანა და ოდესაში დაბრუნებული უმალ ძირითადში მოხვდა. საინტერესოა, როგორ აფასებს გიორგი უკრაინულ ნახევარსეზონს...

— ეს პირველი უკრაინული სეზონია შენთვის, რას იტყვი პირველ წრეზე?

— თავიდან „ჩერნომორეცმა" თავისი თამაში ვერ იპოვა, რასაც დაკარგული ქულები და არასასურველი შედეგები მოჰყვა. შემდეგ კი თანდათან ყველაფერი დალაგდა. მეორე წრეში კიდევ უფრო მოვუმატებთ და ცხრილშიც წინ წავიწევთ.

— რომელ შეხვედრას თვლი ყველაზე იღბლიანად და პირიქით, ყველაზე უიღბლოდ?

— ყოველ მოგებულ მატჩს იღბლიანად ვთვლი. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი შეხვედრა კი, ალბათ ალჩევსკის „სტალთან" იყო. მომენტს მომენტზე ვქმნიდით, მაგრამ გატანა ვერ მოვახერხეთ. ალჩევსკელებმა კი ორჯერ დაარტყეს და ორივე გაგვიტანეს. მაშინ ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ.

— რომელი გუნდი მიგაჩნია პირველი წრის აღმოჩენად?

— ეს ჩემი პირველი უკრაინული სეზონია და ჩემთვის ყველა გუნდი აღმოჩენაა. რა თქმა უნდა, კიევის „დინამოს" და დონეცკის „შახტარს" უკეთ ვიცნობდი, რადგან სისტემატურად თამაშობენ ევროტურნირებში და უკრაინის უპირობო ლიდერები არიან. პირველი წრის მიხედვით, ჩემზე გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება „შახტარმა" დატოვა, თუმც ცხრილი ამას არ ადასტურებს. ისე კი, აღმოჩენად კიევის „არსენალი" უნდა ჩავთვალო. ფინანსური პრობლემების მიუხედავად, უმეტეს მატჩებში კარგი ფეხბურთი აჩვენა, თვით „შახტარი" დაამარცხა სტუმრად. „არსენალში" ჩემი მეგობარი ჯაბა კანკავა თამაშობს და მან მითხრა, რომ გუნდში მოგებაზე პრემიალური წახალისება არ არის, თუმცა ეს მათ შედეგს სულაც არ ეტყობა.

— ვის თვლი „ჩერნომორეცის" და მთლიანად ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ?

— ჩვენს გუნდში ბევრის გამორჩევა შეიძლება. შესანიშნავად ითამაშა კაპიტანმა ანდრეი კირლიკმა, ბოლოს ძალიან მოუმატა სერგეი დანილოვსკიმ, მან რამდენიმე გადამწყვეტი გოლი გაიტანა. უკრაინის ჩემპიონატში კი ყველაზე უფრო შახტარელი ჟადსონი მომეწონა. მან ჩემპიონთა ლიგაშიც კარგად ითამაშა, თან ახალგაზრდაა და კიდევ მოუმატებს.

— ევროტურნირებზე უკრაინული კლუბების გამოსვლას როგორ შეაფასებ?

— წარმატებული ნამდვილად არ ეთქმის, თუმც ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. პირადად ჩვენთვის ეს გამოცდილების ნაკლებობაა. „ჰაპოელი" ყოველ წელს მონაწილეობს ევროსარბიელზე და გაიხსენეთ, რამდენი მომენტი გვქონდა თელ ავივში — ჩვენ ვერ გავიტანეთ, მათ კი შანსი გამოიყენეს.

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# გრეგორი კუპე: დომენეკს ვერასდროს ვერ ვაპატიებ

„ლიონის" მეკარე გრეგორი კუპეს საფრანგეთის ნაკრების კარი თითქმის გარანტირებული აქვს, მაგრამ ეს ახლა — მუნდიალზე კი „მამლების" თავკაცმა მას ფაბიენ ბარტეზი ამჯობინა...

„ხუთი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩავატარე და მუნდიალს დიდი მოლოდინით ველოდი, მაგრამ იქ ვერ ვითამაშე და ეს ჩემთვის ტრაგედიაა. ორ წელიწადში ევროპის ჩემპიონატია, მაგრამ ეს ჩემთვის უკვე უინტერესოა. ვერ ვაპატიებ რაიმონ დომენეკს და თუნდაც ამან ჩემს სანაკრებო მომავალს შეუშალოს ხელი."

**ოთარ მხეიძე**

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XIX ტური
ჰამბურგი (მ) 1:1 მაგდებურგი

## იტალია

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩი
პარმა 3:1 ნაპოლი (0:1)

## როიალ ლიგა

A ჯგუფი. IV ტური
ჰელსინგბორგი 1:0 ოდენსე
ბრანი 3:2 რუსენბორგი

B ჯგუფი. IV ტური
ლილესტრიომი 1:1 ბრონდბიუ

C ჯგუფი. IV ტური
აიკ 1:1 ელფსბორგი
ვიბორგი 2:2 ვოლერენგა

# გვექნება ჯეო-ჩემპიონატი?

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს მალე ალბათ გენერალური სპონსორი ეყოლება და შესაძლოა, ეს „ჯეოსელი“ იყოს.

როგორც შევიტყვეთ, პროფესიული ფეხბურთის ლიგასა და ამ კომპანიას შორის უკვე მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები და მხარეები დღეს-ხვალ ერთმანეთს თანამშრომლობის საკითხების საბოლოოდ შესათანხმებლად უნდა შეხვდნენ.

ამ ინფორმაციის დასადასტურებლად გუშინ „ჯეოსელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დავუკავშირდით, მაგრამ მათ ეს ცნობა უარყვეს, თუმცა დასძინეს, რომ ფეხბურთის ფედერაციასთან და პროფლიგასთან „ჯეოსელს“ ხშირი კორპორაციული ურთიერთობა აქვს.

ჯერჯერობით გენერალური სპონსორის თაობაზე არც პროფლიგაში საუბრობენ.

ჩვენ კი ისიც შევიტყვეთ, რომ „ჯეოსელთან“ ერთად ეროვნული ჩემპიონატის სპონსორობის სურვილი აქვს კიდევ რამდენიმე ცნობილ ქართულ კომპანიას, თუმცა მათ ვინაობაზე ვერაფერს გეტყვით.

ისე, პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა ამასწინდელ ინტერვიუში რამდენჯერმე კი ახსენა, ეროვნული ჩემპიონატის გენერალური სპონსორის მოზიდვაზე ინტენსიურად ვმუშაობთ და რამდენიმე სერიოზული წინადადება უკვე გვაქვსო. ამის გათვალისწინებით, სულაც არ არის გამორიცხული, ჩემპიონატს გენსპონსორი გაზაფხულიდანვე, ანუ ჩემპიონატის განახლებისთანავე გამოუჩნდეს.

ამჟამად „ჯეოსელი“ ისედაც არის პროფლიგის ერთ-ერთი სპონსორი, თუმცა მათი ურთიერთობა უფრო საფუძვლიანი მაშინ გახდება, თუ გენსპონსორობაზეც შეთანხმდებიან და, იმედია, ჩვენი ჩემპიონატიც ასე უფრო საინტერესო და პოპულარული იქნება.

ვნახოთ, პროფლიგა და „ჯეოსელის“ მოლაპარაკება ალბათ წარმატებით დასრულდება.

**ბოჩა ინასარიძე**

# იაროსლავლი ჩავიდა, ამისულაშვილი ადის

## კიდევ ერთი ქართველი რუბინში

იაროსლავლის „შინიკი“ პრემიერლიგას რომ დაემშვიდობა და გაისად პირველ დივიზიონში ითამაშებს, გეცოდინებათ. „შინიკის“ ახალ მთავარ მწვრთნელ სერგეი იურანს ელიტაში დაბრუნებაში საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი დაეხმარება, თუმც, სამაგიეროდ, კლუბი უკვე დატოვა მეორე ქართველმა, ალექსანდრე ამისულაშვილმა, რომელიც კიევის „დინამოს“ საკუთრებაა და იაროსლავლში განათხოვრებული იყო.

და აი, ახალი ამბავი: დინამოელთა მენეჯერმა ვიქტორ ფომინმა განაცხადა, რომ ამისულაშვილი იანვარში ყაზანში ჩავა, „რუბინში“ ივარჯიშებს და თუ მწვრთნელებს თავს მოაწონებს, კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად „რუბინში“ ოთხი ქართველია: ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე, მიხეილ აშვეთია და ზურაბ არზიანი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ალექსანდრე ამისულაშვილი (მარცხნივ) ალბათ რუსეთში დარჩება

# იქ ფეხბურთი მიხარია

## დავითი დავიდზე და გამოცდილებაზე

საქართველოს ეროვნული ნაკრების და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ 26 წლის მარცხენაფლანგელი დავით კვირკველია ახლა თბილისშია — შვებულებაშია და თან ტრავმას იშუშებს. მას ეროვნულ გუნდში 22 კეპი მოუხვეჭია და უკრაინულის გარდა ცხადია, სანაკრებო თემაზეც ვესაუბრეთ. კვირკველია შარშან ვლადიკავკაზის „ალანიას“ ფეხბურთელი იყო, წლეულს გაზაფხულიდან კი უკრაინის უმაღლეს ლიგაში თამაშობს და იქ კიდევ წელიწადნახევრით აპირებს თამაშს...



— რუსეთთან შედარებით უკრაინაში თავს ბევრად უფრო კომფორტულად ვგრძნობ, უკრაინის ჩემპიონატში გოლებიც გამაქვს, თუმც რუსულ პრემიერლიგას უკრაინის ჩემპიონატი ვერ სჯობია.

**— ფეხი როგორ გაქვს?**

— უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ხუთი მატჩი სწორედ ამ ტრავმის გამო გამოვტოვე. პენალტის დარტყმისას მარცხენა ფეხის კუნთი გამიწყდა. ერთი კვირა დავისვენე და მერე ტრენაჟორებით დავიწყე ვარჯიში. შემდეგ მოვუმატე დატვირთვებს, მაგრამ ტრავმა ვერ განიკურნა. თბილისში ურუგვაისთან მატჩისთვის რომ ჩამოვედი, ნაკრების ექიმმა დიმიტრი ზაალიშვილმა გამსინჯა და აღმოჩნდა, რომ შვიდსანტიმეტრიანი ჰემატომა მქონდა. ახლა ყველაფერი კარგად მიდის, ისევ ზაალიშვილის მეთვალყურეობით ვმკურნალობ.

**— ტრავმა ჰქონდა შენს ზაპოროჟიელ თანაგუნდელ ირაკლი მოდებაძესაც...**

— მას მუხლი აწუხებს, თუმც ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს. შესაძლოა, მოდებაძემ ისრაელში გაიკეთოს ოპერაცია და ორ კვირაში ვარჯიშს დაიწყებს.

**— ზაპოროჟიეში რარიგ უყვართ ფეხბურთი, რამდენი მაყურებელი დადის გუნდის საშინაო მატჩებზე?**

— თუ „დინამოს“, „შახტარს“, დონეცკის „მეტალურგს“, „დნიპროს“ ან „ჩერნომორეცს“ ვეთამაშებით, თვრამეტათასიანი სტადიონი სულ სავსეა. ისე კი, ექვს ათასზე ნაკლები მაყურებელი არასდროს მოდის.

**— ზაპოროჟიეში ცხოვრებას კარგად შეეგუე?**

— ნორმალურად, ქართველები იქ ძალიან უყვართ. ზაპოროჟიე დაახლოებით თბილისისხელაა, ჰაერი კი იქ კარგი არაა, რადგან ზაპოროჟიე ინდუსტრიული ქალაქია.

**— „დინამო“ და „შახტარი“ მკვეთრად აღემატებიან დანარჩენ უკრაინულ გუნდებს. აი, ეს დანარჩენი გუნდები არ იყოფიან კლასის მიხედვით?**

— არა, დანარჩენი გუნდები კლასით თითქმის ერთნაირები არიან, შესაძლოა, პირობებში იყოს განსხვავება.

**— გუნდში ამპლუას ხშირად გიცვლიან?**

— არა, მარცხენა მცველად ვთამაშობ და მხოლოდ ორჯერ ვითამაშე მარცხენა ნახევარმცველად.

**— როგორ ფიქრობ, მიმდინარე უკრაინის ჩემპიონატი ჯერჯერობით რომელი ქართველი ფეხბურთელისთვის გამოდგა ყველაზე წარმატებული?**

— გიგიაძისთვის — ის ხომ უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.

**— ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ კიდევ რამდენ ხანს აპირებ თამაშს?**

— ამ ცოტა ხნის წინ „მეტალურგთან“ კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულამდე გავაგრძელე. ამ გუნდით კმაყოფილი ვარ, რაც იქ გადავედი, სათამაშო პრაქტიკა არ მომკლებია, ფიზიკურად და ტექნიკურად თავს კარგად ვგრძნობ, ასე კარგად მხოლოდ შუშაკის დროინდელ „დინამოში“ ვიყავი — ფეხბურთის თამაში მიხარია.

**— ნაკრებზე გადავერთოთ. გერმანიასთან ამხანაგურ მატჩში დავიდ ოდონკორის წინააღმდეგ მოგიწია თამაშმა და მისი შეჩერება ძალიან ძნელი გამოდგა...**

— მასთან დისტანციას ვზრდიდი, ფორას ვიქმნიდი, მაგრამ ოდონკორი მაინც მასწრებდა. ასეთი სწრაფი ფეხბურთელი მანამდე არ მენახა. „დინამოში“ ყოფნისას „ნიუკასლთან“ მატჩში კრეიგ ბელამი რომ ვნახე, მეგონა, რომ ის იყო ყველაზე სწრაფი, მაგრამ ოდონკორი მასზე ოდნავ სწრაფი გამოდგა. ისე, გერმანელებს ალბათ დამუშავებულიც ჰქონდათ, რომ ოდონკორისთვის ფლანგზე დერეფანი შეექმნათ და თანაგუნდელებისთვის ჩემი დაზღვევა თითქმის შეუძლებელი გაეხადათ.

**— იტალიასთან მატჩზეც ვთქვათ. იტალიელთა მეორე გოლმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია — მაურო კამორანეზი კვირკველიას უნდა ამოეკეტა, გიორგი შაშიაშვილს თუ ცენტრალურ მცველებს?**

— კამორანეზი ჩემი ასაყვანი იყო და, როცა მარცხნიდან ჩაწოდება კეთდებოდა, სწორი პოზიცია მეკავა, მაგრამ კამორანეზიმ წამის მეასედში მაჯობა, რალაცნაირად უცებ გაიხსნა და გოლი შეაგდო. შაშიაშვილი იმ მომენტში ცენტრალურ მცველებს აზღვევდა. კლაუს ტოპმიოლერმაც მითხრა, სწორი პოზიცია კი გეკავა, მაგრამ კამორანეზიმ გამოცდილებით გაჯობაო. იტალიასთან მატჩმა ძალიან მომქანცა, ჩემს ზონაში რამდენიმე ფეხბურთელის ამოკეტვა მიწევდა, მათ შორის, ძამბროტასიც. მატჩისშემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ დე როსის შემდეგ ყველაზე დიდი მოცულობის სამუშაო სწორედ ძამბროტამ შეასრულა.

**დავით თავართქილაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო ლოკომოტივს ახლებშიც გაეჯიბრა

## უჰრინს ლობჟანიძე და კაკალაძე დაუბრუნდნენ

**დინამო 6:1 ლოკომოტივი**

1:0 ხმალაძე (20), 1:1 წუწუნავა (39), 2:1 ჩირიკაშვილი (44), 3:1 ხმალაძე (59), 4:1 იაშვილი (64), 5:1 ხუციშვილი (73), 6:1 კობახიძე (88)

**დინამო:** სტურუა, უ. ლობჟანიძე, გ. გოგოლაძე, შ. კაშია, აკობია, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, ხმალაძე, ჩირიკაშვილი, კაკალაძე, დვალი

*მეორე ტაიმში შევიდნენ: ლორია, გ. კაშია, ნავალოვსკი, ზ. ჯანაშია, კობახიძე, ნერგაძე, მ. ხუციშვილი, იაშვილი, გუგავა*

**ლოკომოტივი:** მიგინეიშვილი, დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ბარბაქაძე, თუთბერიძე, მიხაილიდი, სოსელია, გოჩაშვილი, გულორდავა, წუწუნავა

*მეორე ტაიმში შევიდნენ: ზუხბაია, ბუდალაშვილი, ხუბუა, ივანიანი, დეისაძე, ცისკარიშვილი, ხუციშვილი*

**გუშინ** თბილისის „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ამხანაგური მატჩი გაიმართა: „დინამო“ თანაქალაქელ „ლოკომოტივს“ გაეჯიბრა და 6:1 დაამარცხა.

საინტერესოა, რომ „დინამოში“ ითამაშეს თავდამსხმელმა მიხეილ კაკალაძემ და მცველმა უჩა ლობჟანიძემ. ეს ფეხბურთელები, შესაბამისად, საჩხერის „ჩიხურაში“ და „ბათუმში“ იყვნენ განათხოვრებულნი და პირველი წრის შემდეგ დაბრუნდნენ დუშან უჰრინის გუნდში. კიდევ ერთი დინამოური სიახლე კი გოდერძი გოგოლაძეა — იგი ბოლოს აზერბაიჯანში თამაშობდა, მანამდე ქუთაისის „ტორპედოში“ ირიცხებოდა, ახლა კი „დინამოში“ ცდილობს ფეხის მოკიდებას.

ორი ახალწვეული ჰყავს „ლოკომოტივსაც“ — თელავის „კახეთიდან“ წამოსულები, ნახევარმცველი მიხეილ სოსელია და თავდამსხმელი კახა წუწუნავა ამირან მინაშვილის გუნდში ვარჯიშობენ.

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ სოსელია „ლოკომოტივის“ კაპიტანიც გახლდათ...

თამაშზე კი რა ვთქვათ, დინამოელთა აშკარა უპირატესობა ანგარიშიდანაც კარგად ჩანს...

ნამატჩევს „დინამოს“ ჩეხმა თავკაცმა *დუშან უჰრინმა* ეს თქვა:

— ამ თამაშში სხვადასხვა ტაქტიკური სქემები გამოვიყენეთ, მაგალითად, მეორე ტაიმში ერთი თავდამსხმელით ვითამაშეთ — წინ მხოლოდ იაშვილი გვყავდა. ფეხბურთელებს არანაირი ფსიქოლოგიური წნეხი არ აწუხებდათ, მაგრამ შეცდომები მაინც ბევრი იყო და ამაზე უნდა ვიმუშაოთ...

...ლობჟანიძე, გოგოლაძე და კაკალაძე დღეს პირველად ვნახე საქმეში და ამიტომ მათი შეფასება ჯერ ნაადრევია...

...ეს არ ყოფილა ჩვენი ბოლო თამაში წლეულს — ხვალ ხომ ჩვენს ფანებს ვეთამაშებით.

**კახა შალამბერიძე**



დუშან უჰრინი



# სამნი დარჩნენ ქვეყანაზე

## დინამო ყველა დროის ჩემპიონატს ლიდერობს

**თუ** სწორად გვახსოვს, საქართველოში 70-მდე ქალაქი და რაიონული ცენტრია — ზუსტი რიცხვი გეოგრაფებს ეცოდინებათ. ჩვენ, სპორტული ჟურნალისტები კი, დაზუსტებით იმას მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 18 სეზონში 31 ქალაქისა და რაიონული ცენტრის გუნდებს უთამაშიათ. გვარიანად ვრცელი გეოგრაფია გამოდის. ყველაზე მეტი კი, ბუნებრივია, თბილისური კლუბებია.

უმაღლეს ლიგაში ნათამაშები 40-ზე მეტი გუნდიდან მხოლოდ სამია, თვრამეტივე სეზონში რომ თამაშობენ: თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“ და „ბათუმი“. უფულობა რომ არა, ფოთის „კოლხეთისთვისაც“ მე-18 უმაღლესლიგური იქნებოდა ეს სეზონი.

ქვემოთ დაარსებიდან დღემდე ყველა ჩემპიონატის შემაჯამებელ ცხრილს წარმოგიდგენთ, რომელშიც უზარმაზარი უპირატესობით „დინამო“ ლიდერობს და რამდენიმე წელი მათ ლიდერობას არც არაფერი ემუქრება.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **დინამო** თბილისი | 18 | 546 | 393 | 85 | 68 | 1452:415 | 1264 |
| 2 | **ტორპედო** ქუთაისი | 18 | 540 | 290 | 99 | 151 | 1003:621 | 969 |
| 3 | **კოლხეთი** ფოთი | 17 | 527 | 250 | 95 | 182 | 828:641 | 845 |
| 4 | **ბათუმი** | 18 | 541 | 242 | 117 | 182 | 841:570 | 843 |
| 5 | **გორდა** რუსთავი | 14 | 435 | 181 | 76 | 178 | 680:612 | 619 |
| 6 | **დილა** გორი | 17 | 515 | 162 | 82 | 271 | 591:857 | 568 |
| 7 | **ზესტაფონი** | 13 | 390 | 156 | 69 | 165 | 551:639 | 537 |
| 8 | **ვიტ ჯორჯია** თბილისი | 10 | 296 | 147 | 75 | 74 | 429:260 | 516 |
| 9 | **ლოკომოტივი** თბილისი | 10 | 295 | 148 | 68 | 79 | 407:256 | 512 |
| 10 | **ოლიმპი** რუსთავი | 11 | 326 | 140 | 55 | 111 | 445:362 | 495 |
| 11 | **სიონი** ბოლნისი | 12 | 359 | 142 | 61 | 156 | 429:491 | 487 |
| 12 | **თსუ** | 12 | 373 | 134 | 70 | 169 | 510:571 | 472 |
| 13 | **სამტრედია** | 11 | 335 | 127 | 78 | 150 | 474:539 | 439 |
| 14 | **გურია** ლანჩხუთი | 11 | 338 | 124 | 45 | 169 | 491:657 | 417 |
| 15 | **სამგურალი** წყალტუბო | 11 | 333 | 113 | 53 | 167 | 396:584 | 392 |
| 16 | **ოდიში** ზუგდიდი | 10 | 303 | 117 | 39 | 147 | 470:540 | 390 |
| 17 | **ივერია** ხაშური | 7 | 213 | 62 | 31 | 120 | 235:416 | 217 |
| 18 | **კახეთი** თელავი | 7 | 201 | 61 | 27 | 113 | 255:424 | 210 |
| 19 | **ცხუმი** სოხუმი | 5 | 153 | 59 | 22 | 72 | 265:269 | 199 |
| 20 | **ალაზანი** გურჯაანი | 4 | 125 | 55 | 20 | 55 | 197:224 | 185 |
| 21 | **კოლხეთი** ხობი | 4 | 119 | 33 | 25 | 61 | 154:208 | 124 |
| 22 | **მზიური** გალი | 3 | 91 | 33 | 16 | 42 | 125:162 | 115 |
| 23 | **ამირანი** ოჩამჩირე | 3 | 91 | 27 | 21 | 43 | 111:148 | 102 |
| 24 | **მერცხალი** ოზურგეთი | 4 | 123 | 24 | 22 | 77 | 122:248 | 94 |
| 25 | **მრეტები** თბილისი | 3 | 106 | 26 | 15 | 65 | 114:210 | 93 |
| 26 | **საპოვნელა** თერჯოლა | 2 | 66 | 25 | 11 | 30 | 98:122 | 86 |
| 27 | **ამერი** თბილისი | 2 | 43 | 24 | 7 | 12 | 60:34 | 79 |
| 28 | **ბორჯომი** | 2 | 43 | 22 | 6 | 15 | 65:50 | 72 |
| 29 | **სულორი** ვანი | 2 | 57 | 19 | 10 | 28 | 82:123 | 67 |
| 30 | **მაღაროელი** ჭიათურა | 2 | 66 | 18 | 11 | 37 | 81:145 | 65 |
| 31 | **არსენალი** თბილისი | 2 | 58 | 14 | 14 | 30 | 55:49 | 56 |
| 32 | **სპარტაკი** თბილისი | 2 | 62 | 12 | 11 | 39 | 45:115 | 47 |
| 33 | **შუქურა** ქობულეთი | 1 | 30 | 13 | 3 | 14 | 44:57 | 42 |
| 34 | **მცხეთა** | 1 | 33 | 12 | 5 | 16 | 41:63 | 41 |
| 35 | **დურუჯი** ყვარელი | 2 | 60 | 9 | 4 | 47 | 51:192 | 31 |
| 36 | **ცხინვალი** | 2 | 65 | 9 | 3 | 53 | 44:194 | 30 |
| 37 | **მილანი** წნორი | 1 | 32 | 6 | 8 | 18 | 18:54 | 26 |
| 38 | **თბილისი-დინამო 2** | 1 | 28 | 6 | 6 | 16 | 33:57 | 24 |
| 39 | **ეგრისი** სენაკი | 1 | 30 | 5 | 2 | 23 | 42:90 | 17 |
| 40 | **მერანი** თბილისი | 1 | 13 | 3 | 2 | 8 | 9:25 | 11 |
| 41 | **ჩიხურა** საჩხერე | 1 | 13 | 2 | 4 | 7 | 10:22 | 10 |

შენიშვნა: „ზესტაფონს“ („მარგვეთი“ და „მეტალურგი“), „ვიტ ჯორჯიას“ („მთიელი“), „ოლიმპს“ („თბილისი“ და „მერანი 91“), თსუ-ს („შევარდენი“), „ცხუმს“ (სოხუმის „დინამო“) და „არსენალს“ (სკა) ეთვლებათ წინამორბედთა შედეგები

# ტოლერანტობის თასი

**ვერის ბაღში** 6 დეკემბერს დაიწყო და 11 დეკემბერს დასრულდება ტოლერანტობის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში. ტურნირში, რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს სახალხო დამცველი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა გუნდები მონაწილეობენ.

ტოლერანტობის თასის გათამაშების ორგანიზატორთა განცხადებით, ტურნირი ტრადიციული გახდება.

პირველ გათამაშებაში თორმეტი გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ოთხ სამგუნა ჯგუფში არიან გადანაწილებულნი:

A ჯგუფი: „ლიბო“, „დიდუბე“, „ორიონი“
B ჯგუფი: „ლევანტე“, „მეიდანი“, „არარატი“
C ჯგუფი: PAX, „თიფერეთ ცვი“, „ბარზანი“
D ჯგუფი: „არწივები“, „ჩვენუბურები“, „რემა“.




# აფრიკა შენდება და მშვენდება

## მსოფლიო გადაწყდა: 11 ივნისი – 11 ივლისი

**ფიფას** პრეზიდენტ ზეპ ბლატერის აზრით, სამხრეთ აფრიკა ღირსეულად უმასპინძლებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სტადიონის მშენებლობა ფერხდება. „ცოტა უფრო მეტი მონდომება საჭირო — უთხრა ბლატერმა ორგანიზატორებს — თუმც დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერს დროულად დაასრულებთ".

საორგანიზაციო კომიტეტის შეფმა დენი იორდანმა განაცხადა, 2008 წლის დეკემბრისთვის ხუთი სტადიონი მზად გვექნება, რათა 2009-ში კონფედერაციის თასს ვუმასპინძლოთო. დანარჩენი ხუთი სტადიონის მშენებლობა კი 2009 წლის ოქტომბერში დასრულდება.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი 11 ივნისს დაიწყება და 11 ივლისს დასრულდება.

ევროპიდან კვლავაც 13 ნაკრები ითამაშებს მუნდიალზე, აფრიკიდან ხუთი — შესარჩევის გავლით, მეექვსე კი თავად მასპინძელია. ოთხნახევარი ადგილი სამხრეთ ამერიკას ერგო, ხოლო სამ-ნახევარი კონკაკაფს (ცენტრალურ ამერიკას). სამხრეთ ამერიკიდან ოთხი პირდაპირ მოხვდება ჩემპიონატზე, მეხუთე კი კონკაკაფის (აქედან სამი პირდაპირ გადის) მეოთხეადგილოსანთან პლეი ოფს ითამაშებს. ამერიკიდან რვა გუნდი გაემგზავრება მუნდიალზე.

რაც შეეხება აზია-ოკეანეთს, შეგახსენებთ, რომ ავსტრალია აზიის შესარჩევში გადავიდა, ამიტომ ოკეანეთის გამარჯვებული აღარ შეხვდება სამხრეთ ამერიკის მეხუთე გუნდს, როგორც აქამდე იყო. ფიფას გადაწყვეტილებით, ამჯერად ოკეანეთის პირველი ნაკრები აზიის მეხუთეს დაეჯახება პლეი ოფში ან არის მეორე ვარიანტიც: აზიის ბოლო შესარჩევ ეტაპზე ჯგუფში ჩასვამენ ოკეანეთის გამარჯვებულს და პლეი ოფი აღარ იქნება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად ოკეანეთიდან ავსტრალია, ხოლო სამხრეთ ამერკიდან ურუგვაი დაეჯახნენ და ოზებმა იმარჯვეს. აზიიდან ბაჰრეინი, კონკაკაფელ ტრინიდად და ტობაგოს შეხვდა და პლეი ოფში ლეო ბეენჰაკერის ტრინიდადმა მოიპოვა მუნდიალის საგზური.

**ირაკლი ნინიძე**

# მე და ზიდანი პსჟ-ს ვყიდულობთ

## ტურამს ტურამის გაგონებაზე გაეცინა




ჟერარ დაანი

**ჟერარ დაანმა** კიდევ ერთხელ შეაზანზარა საფრანგეთი. ვიდრე ცნობილი იმიტატორის და პაროდისტის მორიგ გმირობაზე მოგითხრობდეთ, შეგახსენებთ, ბატონი დაანი ვინ ბრძანდება. ამ კაცმა მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში საფრანგეთის ნაკრების კაპიტან ზინედინ ზიდანს რესპუბლიკის პრეზიდენტ ჟაკ შირაკის ხმით დაურეკა და უთხრა, რომ გალებს ეროვნული ჰიმნი მოედანზე გულზე მიდებული ხელით უნდა მოესმინათ. გულუბრყვილო ზიზუმაც დაიჯერა. აბა, როცა პრეზიდენტი გირეკავს და ამნაირ საქვეყნო საქმეს გთხოვს, მოდი და უარი უთხარი...

ორი დღის წინ კი ცბიერმა დაანმა ფრანგული ტელევიზიის TF1-ის წამყვანი ჰარი როსელმაკი გააბრიყვა. როსელმაკი პირველი შავკანიანი ჟურნალისტია, რომელიც საფრანგეთში ყველაზე პოპულარული არხის წამყვანი გახდა და ამისთვის ჰარის ქვეყანაში ყველა იცნობს. დაანმა მასთან პირდაპირ ეთერში დარეკა და ლილიან ტურამად წარუდგა.

„მინდა, გაცნობოთ, რომ მე და ზინედინ ზიდანი „პარი სენ ჟერმენის" ყიდვას ვაპირებთ. ფინანსური მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და მალე ალბათ გარიგებას გავაფორმებთ" — უთხრა „ლილიან ტურამმა" შეცბუნებულ როსელმაკს.

ამას მოჰყვა, რაც მოჰყვა, ჰარიმ ჯერ ტურამის განაცხადი პრესას გააცნო, მერე კი TF1-ის კორესპონდენტთა სამკაციანი ჯგუფი ბარსელონაში აფრინა, შეთანხმების დეტალები უფრო დაწვრილებით გაიგეთო. ნამდვილ ტურამს ფრანგთა შეკითხვები გაოცებით მოუსმენია, პსჟ-ზე გადაჭრით უარი უთქვამს და მერე გასცინებია კიდეც — ეგ ნამდვილად იმ კვიმატი კაცის ოინები იქნება, ზიდანი და მთელი ნაკრები რომ მოატყუაო.

რამდენიმე ხანში დაანმა ტელევიზიაში მართლაც დარეკა და თავისი ოინბაზობა აღიარა. „პარი სენ ჟერმენი" ისევ ძველ მფლობელთა განკარგულებაში რჩება...

**ლადო ხომერიკი**

# წავიდე? წავალ!

## შევა ბარგს ეძებს






**წუხელ** ანდრეი შევჩენკომ თქვა, რომ მზადაა, ბარგი შეკრას და „ჩელსიდან" წავიდეს, თუ ჟოზე მაურინიუს მისი წასვლა სურს. ლამის 31 მილიონ გირვანქად დამჯდარმა შევჩენკომ მხოლოდ 3 სალიგო გოლი გაიტანა აგვისტოდან მოყოლებული და ახლა ძლიერდება ხმები, რომ იანვრის სატრასფერო ფანჯარაში მას გაასხვისებენ. „ჩელსიში" შინაურულად ვარ და მგონია, რომ დიდი ხანია აქ ვთამაშობ. მაგრამ სამწუხაროდ მაურინიუს ჩემი თამაში არ მოსწონს — თქვა შევამ — ყველა წერს, რომ უკან „მილანს" მიმაქირავებენ. ეს საკითხი უფროსობასთან არ განმიხილავს, და ალბათ, ჯერ მათაც არ გადაუწყვეტიათ. თუმცა, თუ ასე გადაწყვეტენ, წავალ. მე საკუთარ ღირსებას პატივს ვცემ. წავალ და იტალიაში დავამტკიცებ, რომ თამაში შემიძლია. მე არ ვარ დამთავრებული ფეხბურთელი, მეორეს მხრივ კი, დასამტკიცებელი არაფერი მაქვს.

რომან აბრამოვიჩი ჩემი მეგობარია და მხარს მიჭერს, მაგრამ ერთადერი, რის გაკეთებაც შეუძლია, ისაა, რომ გაყიდვის ნაცვლად გაქირავება მომიხერხოს. მაურინიუსიც მესმის, ცოტა გოლები გამაქვს. ლონდონის დატოვება სამწუხარო იქნება, პირველ რიგში ოჯახის გამო. აქ მშვენივრად მოვეწყვეთ".

**ირაკლი გამყრელიძე**

# ტერზიჩი ლულით

**ბელგრადში** სამართალდამცავებმა სერბეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვეზდან ტერზიჩი დააკავეს. საფეხბურთო დიდმოხელეს ბრალად იარალის უკანონო ტარება დასდეს.

პატრულმა ტერზიჩი ბელგრადის ქუჩებში მანქანით სეირნობისას დააკავა. პრეზიდენტთან ერთად პოლიციის განყოფილებაში მისი მეგობრებიც წაიყვანეს. ყველა თოფ-იარაღში იყო ჩამჯდარი, არადა, პისტოლეტების ტარების უფლება არ ჰქონდათ.

ზვეზდან ტერზიჩმა პოლიციას განუცხადა, რომ იარაღის შენახვის უფლება აქვს, ოღონდ არა ტარებისა. განყოფილებიდან პრეზიდენტი და მისი ამფსონები ფულადი ჯარიმის გადახდის შემდეგ გამოუშვეს.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ ბელგრადში. მაშინ ერთ სახელმწიფოდ მყოფი სერბეთ-ჩერნიგორიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბრანკო ბულატოვიჩი უცნობმა პირებმა თავის მანქანაში ჩაცხრილეს. სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ამჟამინდელი თავკაციც, ეტყობა, აბჯარასხმული იმიტომ დადის.

**ლადო ხომერიკი**



# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

## E ჯგუფი

**დინამო 2:2 რეალი**

1:0, 2:0 შაცკიხი (13, 27), 2:1, 2:2 რონალდო (86, 88პ)
დინამო: შოვკოვსკი, მარკოვიჩი, როდრიგო, როდოლფო (მანძიუკი 34), ნესმაჩნი, ო. გუსევი, იუსუფი, მიხალიკი, ბელკევიჩი, მილევსკი (როტანი 86), შაცკიხი
მწვრთნელი: ანატოლი დემიანენკო
რეალი: დ. ლოპესი, სალგადო, მ. ტორესი, მეხია, რ. კარლოსი, ნიეტო (ბორხა 74), ბექჰემი, მ. დიარა, დე ლა რედი (ხავი გარსია 70), რონალდო, კასანო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: როდრიგო, რონალდო
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
33 000 მაყურებელი

**ლიონი 1:1 სტიაუა**

0:1 დიკა (2), 1:1 დიარა (12)
ლიონი: კუპე, რეველიერი, კასაპა, მიულერი, ბერტოდი, ტიაგუ (ტულალანი 65), ა. დიარა, კალსტრიომი, გოვუ (რემი 80), კარეუ (ვილტორდი 65), ბენ აფრა
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
სტიაუა: ჩერნია, სტანჩუ, გიონია, გოიანი, მარინი, ნიკოლიტა, რადოი (პეტრე 78), პარასკივი, დიკა, კრისტოჩია (ოპრიტა 82), ტერეაუ (ბადია 73)
მწვრთნელი: კოზმინ ოლაროიუ
გაფრთხილება: დიკა, პარასკივი, კასაპა, რადოი
მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვენია)
39 351 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:3 | 14 |
| რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:8 | 11 |
| სტიაუა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 5 |
| დინამო | 6 | 0 | 2 | 4 | 5:16 | 2 |

### რონალდომ დინამოს თავი დაახრევინა

„**რეალმა**“ კიევში „ამხანაგური“ მატჩი არ წააგო. სამეფო თეთრებს და უკრაინელებს თამაშამდე ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდათ, „რეალი“ ჯგუფს ყველა შემთხვევაში მეორე ადგილზე ამთავრებდა, ხოლო დემიანენკოს შეგირდები ევროტურნირებიდან გამოთიშვას ვერ ასცდებოდნენ. ამიტომაც ოლიმპიურ სტადიონზე ერთადერთი რამ რჩებოდა გასარკვევი — ვინ მიიღებდა იმ ექვს ათას ევროს, რომელსაც უეფა ლიგის მატჩში გამარჯვებულს ანიჭებს. შაცკიხმა პირველ ტაიმში ორი გოლი გაიტანა და მასპინძელი ფანობა გაახარა, მაგრამ მატჩის მიწურულს მადრიდელთა რონალდომაც ორი შეაგდო და სამეფო გუნდი წაგებას გადაარჩინა. კიჟას ორი წელია ლიგაზე გოლი არ ჰქონდა გატანილი და მისმა დარტყმებმა სათადარიგოებით გატანილ ესპანურ გრანდს სწორედ რომ სულზე მიუსწრო.

რახან მატჩს არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა, კაპელომ ძირითადში მოხვედრის შანსი იმათ მისცა, რომელთაც სხვა დროს სასტარტო თერთმეტში ყოფნის შესაძლებლობა ნაკლებად ეძლევათ. ბექემმა და რონალდომ კარგად ითამაშეს. ბრაზილიელი ჯერ საბრძოლო ფორმაში ვერაა, თუმცა მეოდანზე მეტოქისთვის მაინც სულ სახიფათოა. ეს, მეკარე შოვკოვსკიმ და მისმა მცველებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს.

„რეალის“ ნორჩებმა თავიდან ბურთაობა კარგად დაიწყეს, მეშვიდე წუთზე დე ლა რედმა უკრაინელთა კარში სახიფათოდ დაარტყა. თუმცა დროის გასვლასთან ერთად მადრიდელთა სათადარიგო შემადგენლობამ ბურთი მეტოქეს გადააბარა.



რონალდო დუბლით გამოირჩა

კიევური სუსხით გახევებულ მცირერიცხოვან მადრიდულ ფანობას გული მწარედ მეცამეტე წუთზე შეუტოკდა, როდესაც შაცკიხმა მეხიას ბურთისთვის ბრძოლა მოუგო და პირველი გოლი გაიტანა. „რეალიდან“ ამაზე პასუხი დე ლა რედს, ნიეტოს და ანტონიო კასანოს უნდა გაეცათ, თუმც მათი დარტყმები მიზანს ასცდა. მერე კი შაცკიხმა სამეფო თეთრების მცველთა უსუსურობით ისარგებლა და დიეგო ლოპესის კარი მეორედ დალაშქრა.

მეორე ტაიმის 86-ე წუთზე ბექემის მოწოდებულ კუთხურს ჯერ ხავი გარსიას თავური, ხოლო შემდეგ რონალდოს აუღებელი დარტყმა მოჰყვა. გადის სულ მცირე ხანი და უკრაინელთა საჯარიმოში შეჭრილ რონის დინამოელები აკრძალული ილეთით აჩერებენ. პენალტს თავად ბრაზილიელი ურტყამს და ანგარიში თანაბრდება, „დინამომ“ ლიგა ფრით დაასრულა, არადა სამეფო გუნდზე გამარჯვებით ამაყად თავაწეულს წასვლაც შეეძლო...

**ჯგუფის** ლიდერმა „ლიონმაც“ საფრანგეთში ოდენ ფრე ითამაშა. „სტიაუამ“ მეორე წუთზე დიკას დარტყმით გახსნა ანგარიში და „სტად ჟერლანი“ შეაშფოთა — „ლიონს“ ხომ საამსეზონო ლიგაში ჯერ წაგების სიმწარე არ უნახავს. დიკამ პარასკივის პასი მიიღო და ლიგაზე თავისი მეოთხე გოლი გაიტანა.

„ჟერლანის“ შიში მალე მინავლდა, მეთორმეტე წუთზე ფრანგებმა საპასუხო გოლი შეაგდეს. საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა დიარამ კიმ კალსტრიომის კუთხურიდან ჩამოწოდებულს ყველაზე ადრე მიუსწრო და ბურთი რუმინელთა კარში გადაგზავნა.

ამის შემდეგ თამაშის ტემპი დაეცა და შესვენებამდე გოლის გატანა მარტო მასპინძელთა გიგანტ ნორვეგიელს კარეუს შეეძლო. თუმცა სკანდინავის დარტყმა რუმინელთა მეკარემ მოიგერია.

მეორე ტაიმში დაწინაურების შანსები „სტიაუას“ უფრო მეტი ჰქონდა, თუმცა რადოიმ, დიკამ და მარინმა საწადელი ვერ აისრულეს. „ლიონი“ ლიგის მერვედფინალშია და დიდევროპულ გრანდებს მასთან შეხვედრის შესაძლებლობა გულს ნამდვილად არ უხარებთ. რუმინელებმა კი დამსახურებულად უეფას თასზე გადაინაცვლეს.

**ლადო ხომერიკი**

## F ჯგუფი

**მანჩესტერი 3:1 ბენფიკა**

0:1 ნელსონი (27), 1:1 ვიდიჩი (45), 2:1 გიგზი (61), 3:1 საა (75)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა (ჰაინცე 68), რონალდუ, კარიკი, სქოულზი (სოლსკიაერი 79), გიგზი (ფლეტჩერი 74), რუნი, საა
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბენფიკა: კიმი, ნელსონი, ლუიზაო, რ. როჩა, ლეო, კაცურანისი, პეტიტი, სიმაო, ნუნუ ასისი (კარაგუნისი 73), ნუნუ გომეში, მიკოლი (პ. ჟორჟე 64)
მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუში
გაფრთხილება: როჩა, რუნი, ფლეტჩერი
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
74 955 მაყურებელი

**კოპენჰაგენი 3:1 სელტიკი**

1:0 ჰათჩინსონი (2), 2:0 გრონკიაერი (27), 3:0 ოლბოკი (57), 3:1 იაროშიკი (75)
კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, იაკობსენი (ნორეგაარდი 56), ჰანგელანდი, გრავგაარდი, ვენდტი, სილბერბაუერი, ლინდეროტი, კვისტი, გრონკიაერი (ბერგლუნდი 90), ოლბოკი (ბერგვოლდი 81), ჰათჩინსონი
მწვრთნელი: სტალე სოლბაკენი
სელტიკი: ბორუცი, უილსონი, ბალდე, მაკმანუსი (ო დია 73), ნეილორი, გრავესენი (ნაკამურა 69), ლენონი, იაროშიკი, მაკგიდი (პირსონი 69), ჟურავსკი, მილერი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: მილერი, იაროშიკი, მაკმანუსი, გრონკიაერი
მსაჯი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)
38 647 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:5 | 12 |
| სელტიკი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:9 | 9 |
| ბენფიკა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |
| კოპენჰაგენი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:8 | 7 |

### დიდი მადლობა მისტერ ნელსონს

### მანჩესტერმა ბენფიკას ჰაერში მოუგო



უენი რუნიმ ვერ გაიტანა, მაგრამ თავი არ დაუზოგავს

**ალექს ფერგიუსონი** კმაყოფილი დარჩა — მისმა გუნდმა დაამტკიცა, რომ გამარჯვების ინსტინქტი და წყურვილი არ დაუკარგავს. არადა, პირველი ნახევარი საათის განმავლობაში ფერგიუსონის შეგირდები უჩვეულოდ მდორენი იყვნენ, რაც ერთი შეხედვით, ცეცხლთან თამაშიც კი გახლდათ. ალბათ, სწორედ ამ პასიურობის ბრალი იყო, ანგარიში „ბენფიკამ“, კერძოდ კი მცველმა ნელსონმა რომ გახსნა. ამის შემდეგ, ზემოთ ხსენებულ მიძინებულ ინსტინქტს რომ არ გაეღვიძა, მანჩესტერელებს ჩემპიონთა ლიგასთან გამოთხოვება და უეფას თასზე გადაბარგება მოუწევდათ, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს, მსაჯის წამატებულ წუთებზე ნემანია ვიდიჩის გოლმა მათ ნერვები დაუმშვიდა და მეორე ტაიმი პრემიერლიგის ლიდერებმა უკვე სხვა რიხითა და ძალით ითამაშეს.

„დასაწყისში თამაში მეტისმეტად ნელა წარიმართა — განაცხადა ფერგიუსონმა, რომელმაც ფრიად უჩვეულო 4-5-1 განლაგება აირჩია, რაც იმას ნიშნავდა, რომ უეინ რუნიმ ნახევარდაცვაში დაიწია, თავდასხმაში კი ლუი საა დარჩა მარტო — ვფიქრობ, ეს ზედმეტი სიდინჯე ჩვენს ცუდ თამაშს ნიშნავდა. ნელ და სწრაფ სიდინჯეს შორის დიდი განსხვავებაა. დიდი მადლობა მისტერ ნელსონს გოლი რომ გაგვიტანა, სწორედ მან გამოგვაფხიზლა ყველანი, მაყურებელი თუ ფეხბურთელი. ამ მომენტის მერე მოედანზე ძველი „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაბრუნდა. მას მერე ჩვენ ვთამაშობდით სწრაფად, დაჟინებით და გამარჯვების დიდი სურვილით. შესაძლოა, დუნე, მშვიდი თამაშისთვის მეტად ბევრი ახალგაზრდა გვყავდა მოედანზე. როგორც კი სწრაფ, ჟინიან ფეხბურთზე გადავერთეთ, ხელად მივაღწიეთ შედეგს“.

მაგრამ, ზემოხსენებული თვითკრიტიკის მიუხედავად, ფერგიუსონმა ისიც აღიარა, რომ შარშანდელ დეკემბერთან შედარებით ახლანდელი „მანჩესტერ იუნაიტედი“ გაცილებით წინ წასული გუნდია. გეხსომებათ, რომ შარშან დეკემბერში თავად ფერგიუსონის თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნა იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ.

„დღეს ჩემი გუნდი საკუთარ ძალებში დარწმუნებულია, მან იცის, რომ გამარჯვება ხელეწიფება. ამის დასტური დღევანდელი თამაშია. „ბენფიკა“ ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ არის და ასეთ მეტოქესთან ჩვენ პერიოდულად ძალიან კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ“.

ლისაბონელთა მწვრთნელმა ფერნანდო სანტუშმა კი თქვა, რომ მისი ბიჭები გოლის უშუალოდ შესვენების წინ გაშვებამ გატეხა:

„თამაშს სრულად ვაკონტროლებდით, მაგრამ ანგარიშის ცუდ დროს გათანაბრებამ შავ დღეში ჩაგვაგდო, მანჩესტერელებმა კი პირიქით, მეორე ტაიმში ჩინებულად ითამაშეს“.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნელსონმა სიმაო საბროსას პასით საუცხოო გოლი გაიტანა, მანჩესტერელებმა კი ანგარიში მართლაც ტაიმის ბოლო დარტყმით გაათანაბრეს — რაიან გიგზის ჩაწოდებულს ვიდიჩმა თავი მიჰკრა.

მეორე ტაიმში რუნი ძველებურად თავდამსხმელი იყო, მაგრამ ამ დღეს გოლი მაინც ვერ გაიტანა. გოლები გიგზმა და ლუი საამ შეაგდეს, ვიდიჩისა არ იყოს, მათაც თავებით.

„**კოპენჰაგენმა**“ ჩემპიონთა ლიგასთან განშორების წინ კარი ძლიერად გაიჯახუნა — „სელტიკს“ 3:1 მოუგო და შინ დაუმარცხებელი სერია განაგრძო. პირველი და მეორე გოლები დანიელებმა უკვე პირველ 30 წუთში გაიტანეს, რასაც მეორე ტაიმში მესამეც დაემატება, ასე რომ, გლაზგოელებმა მხოლოდ ეგრეთწოდებული პრესტიჟის გოლისღა შეაგდეს.

**პაპუნა ქადია**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

## G ჯგუფი

**პორტუ 0:0 არსენალი**

პორტუ: ელტონი, ბოსინგვა, პეპე, ბ. ალვეში, ფუსილე, ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, მეირელეში (ბარეტო 86), კვარესმა, ლ. ლოპესი, პოშტიგა (მორაეში 81)

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

არსენალი: ლემანი, ებუ, ტურე, ჯურუ, კლიში, გლები, ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, ლიუნგბერგი, ფლამინი, ადებაიორი (ვან პერსი 79)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

41 500 მაყურებელი

**ჰამბურგი 3:2 ცსკა**

0:1 ოლიჩი (23პ), 1:1 ბერიშა (28), 1:2 ჟირკოვი (65), 2:2 ვან დერ ვაარტი (84), 3:2 სანოგო (90)

ჰამბურგი: ვეხტერი, მაჰდავიკია, რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა (ფილჰაბერი 70), იაროლიმი (სანოგო 83), ლაასი, ტროხოვსკი, ვან დერ ვაარტი, ლიუბოია (გერერო 75), ბერიშა

მწვრთნელი: თომას დოლი

ცსკა: აკინფეევი, შემბერასი, ვ. ბერეზუცკი, ა. ბერეზუცკი, კრასიჩი, ტარანოვი (ოდია 77; კოჩუბეი 87), ალდონინი, ჟირკოვი, დუდუ (გრიგორიევი 9), ოლიჩი, დანი კარვალიუ

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

გაფრთხილება: დუდუ, ატუბა, ვ. ბერეზუცკი

გაძევება: ატუბა (70)

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

46 699 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 11 |
| პორტუ | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| ცსკა | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | 8 |
| ჰამბურგი | 6 | 1 | 0 | 5 | 7:15 | 3 |

## არსენ ვენგერი თებერვლით იმუქრება



ლემანს „პორტუმ“ იავნანაც უმღერა

**პორტუში** ფრე ორივე გუნდს მერვედფინალის საგზურს უნაღდებდა და რა გასაკვირია, რომ თამაში ასეც მორჩა. სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ დაარტყეს კარში — ფრანსესკ ფაბრეგასმა საჯარიმო შეასრულა. მასპინძლებმა კი გვარიანად ანერვიულეს „არსენალი“, რადგან რიკარდო კვარესმამ ორჯერ ძელს გაარტყა ბურთი. მატჩის ბოლო ათი წუთის განმავლობაში გუნდები კმაყოფილები დასეირნობდნენ მოედანზე. არსენ ვენგერი იმედოვნებს, რომ „არსენალი“ უკეთესად ითამაშებს თებერვალში, როცა მერვედფინალის დრო მოვა: „ძალიან ვნერვიულობდი, რაკი ვიცოდით, რომ ცსკა-ს მოგებისა და ჩვენი მარცხის შემთხვევაში ჯგუფიდან ვერ გავიდოდით. ეს დიდად საწყენი იქნებოდა მას შემდეგ, რასაც წინა სეზონში მივაღწიეთ. მერვედფინალში უფრო ლაღად ვითამაშებთ და ქომაგები ძლიერ „არსენალს“ ნახავენ. რთულ ჯგუფში მოვხვდით, თუმც მხოლოდ ერთი მატჩი წავაგეთ და ისიც მოსკოვში, სადაც ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალეს. „ჰამბურგმა“ ცსკა-ს მოუგო და ჩვენ წაგვეხმარა, მაგრამ ვაღარებ, რომ ჩემმა გუნდმა „პორტუსთან“ შეტევაში ძალიან ცუდად ითამაშა“.

„მეთოფეებმა“ ჯგუფში პირველი ადგილი კი დაიკავეს, თუმც გუშინწინდელ მატჩში „პორტუ“ აშკარად აღმატებოდა მეტოქეს. „პორტუ“ ბევრად გაუმჯობესებულა მას შემდეგ, რაც ჩვენ მათ ლონდონში მოვუგეთ — განაცხადა ფრანგმა მწვთრნელმა — კარგი კი ისაა ჩემი გუნდის თამაშში, რომ გამოუცდელობის მიუხედავად, შეცდომები არ მოსვლიათ. რაც შეეხება ძელს გარტყმულ ბურთებს, ამ შემთხვევაში იღბალი „არსენალისკენ“ იყო. სამ დღეში ერთხელ თამაში რომ გიწევს, ძნელია მუდამ ერთ დონეზე კარგად გამოიყურებოდე“.

არსენ ვენგერმა ხუთი ნახევარმცველი და ერთი ფორვარდი დააყენა, წინ მხოლოდ ემანუელ ადებაიორი იყო. „ვან პერსიმ ბოლოს ორი მძიმე მატჩი ითამაშა და დასვენება სჭირდებოდა, თან კიდევ უფრო რთული შეხვედრები გველის. ამიტომაც დავასვენე“ — აღნიშნა ფრანგმა. ცენტრალური მცველი იოჰან ჯურუ „პორტუსთან“ დაშავდა და საეჭვოა, რომ ზეგ „ჩელსისთან“ ითამაშოს, ხოლო უილიამ გალასი კვლავაც ტრავმას იშუშებს და ისიც, ალბათ გამოტოვებს ლონდონურ დერბის.

„პორტუს“ მწვრთნელმა ჟესუალდო ფერეირამ თქვა: „ცხადია, კმაყოფილები ვართ მერვედფინალში გასვლით, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ თამაშის მოგება ჩვენ უფრო შეგვეძლო“.

**„ჰამბურგმა“** კარი მაინც გაიჯახუნა და მთლად შერცხვენილი არ დაემშვიდობა ჩემპიონთა ლიგას. ცსკა-სთან გამარჯვება თომას დოლის გუნდისთვის სამ ქულაზე გაცილებით ბევრს ნიშნავს, რადგან ფსიქოლოგიურად გამართავს წელში. „ჰამბურგი“ ხომ ბუნდესლიგაში ბოლოს წინა ადგილზეა და ნაცვლად იმისა, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოდეს, ელიტაში დასარჩენად უწევს ჯახირი. „ჰამბურგისთვის“ კარგიცაა, ჩემპიონთა ლიგა რომ მოსცილდება და მთლიანად ბუნდესლიგაზე გადაერთვება.

ცსკა-ს არ ჰყავდა ტრავმირებული კაპიტანი სერგეი იგნაშევიჩი, ხოლო ვაგნეს ლავმა და ელვერ რახიმიჩმა მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს.

კრასიჩის წაქცევის გამო დანიშნული პენალტი ოლიჩმა გამოიყენა, თუმც ალბანელმა ბესტარ ბერიშამ მალევე გათანაბრა ახლოდან დარტყმით. მეორე ტაიმში ჟირკოვმა ნახევარი მოედანი გაიარა და კვლავ დააწინაურა სტუმრები, მაგრამ მასპინძლებმა, მიუხედავად იმისა, რომ ათნი დარჩნენ ატუბას გაძევების შემდეგ, ჯიგრიანად ითამაშეს მატჩის ბოლოს და მეტოქეს გამარჯვება გამოგლიჯეს.

**ირაკლი ნინიძე**

## H ჯგუფი

**მილანი 0:2 ლილი**

0:1 ოდემვინჟი (7), 0:2 კეიტა (67)

მილანი: კალაჩი, ბონერა, შიმიჩი, კალაძე, იანკულოვსკი, ბროკი (ზეედორფი 46), პირლო, ამბროზინი (კაკა 54), გურკუფი, ინძაგი, ბორიელო (ოლივეირა 72)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ლილი: მალიკი, შალმე, პლესტანი, ტავლარიდისი, ტაფორო, ა. კეიტა (იულა 83), კაბაიე, ბოდმერი (ფოვერჟი 89), მაკუნი, დებუში, ოდემვინჟი (რობაილი 73)

მწვრთნელი: კლოდ პუელი

გაფრთხილება: კეიტა

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

27 067 მაყურებელი

**ანდერლეხტი 2:2 აეკ**

1:0 ვანდენ ბორე (38), 2:0 ფრუტოსი (69), 2:1 ლაკისი (75), 2:2 ჩირილო (81)

ანდერლეხტი: ჟიტკა, პარეხა, დე მანი, იუპაში, დეშახტი, ვანდენ ბორე, ბილია, ა. ჰასანი (ბუსუფა 65), გოორი, ფრუტოსი (ლეჟარი 80), ტშიტე

მწვრთნელი: ფრენკი ვერკუტერენი

აეკ: სორენტინო, პაუტასო, ჩირილო, პაპასტათოპულოსი, გეორგიასი, კირიაკიდისი (ლაკისი 50), ზიკოსი, მანდუკა (დელიბაშიჩი 58), ტოშერი, ლიბეროპულოსი, ჟულიო სეზარი (ჰატემაი 58)

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

27 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:4 | 10 |
| ლილი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:5 | 9 |
| აეკ | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | 8 |
| ანდერლეხტი | 6 | 0 | 4 | 2 | 7:11 | 4 |

## სრული სიბნელე

### მილანი მეცხრე ბლოკს შეუერთეს

**კარლო ანჩელოტის** ექვსი წამყვანი მოთამაშე კი აკლდა, მაგრამ „ლილთან“ მატჩში მქსიმალურად საბრძოლო შემადგენლობა დააყენა. მასპინძლებს ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდათ და თავი მოიკლესო, ვერ ვიტყვით, მაგრამ მონდომებულად ითამაშეს. თუმც ამან შედეგი არ გამოიღო, ბევრად უფრო მოტივირებულმა „ლილმა“ საბოლოოდ დამსახურებულად იმარჯვა და მერვედფინალშიც გავიდა, რადგან აეკმა ბელგიაში „ანდერლეხტს“ ვერ მოუგო.

ფრანგები მე-7 წუთზე დაწინაურდნენ, როცა ბოდმერის შორეული დარტყმა ჟელკო კალაჩმა ცუდად მოიგერია, ხოლო პეტერ ოდემვინჟი იქვე გაჩნდა და 0:1. მეორე, „როსონერის“ დაცვისა და მეკარის შეცდომას მოჰყვა, რომლითაც კადერ კეიტამ ისარგებლა და სხვაობა გაზარდა. განსაკუთრებით დარიო შიმიჩი სცოდავდა. და კიდევ ერთი, „მილანმა“ ამ შეხვედრაშიც გაარტყა ბურთი ძელს — ფილიპო ინძაგის თავური ხარიხამ აისხლიტა. თუმცა ამით „ლილსაც“ შეუძლია დაიკვეხოს, კაბაიეს დარტყმაც ხარიხას მოხვდა. ერთი სიტყვით, სახიფათო მომენტები კიდევ მრავლად იყო ორივე კართან, მაგრამ მეტი გოლი არ გასულა.




„მილანს“ პირველი ოდემვინჟიმ გაუტანა

„წავაგეთ, თან ყველაზე ცუდი ვარიანტით — საკუთარი ქომაგების წინაშე საშინელი თამაშით. ფეხბურთელებმა იციან ჩემი განწყობა და მათგან დროულ რეაქციას ველი. ასე გაგრძელება არ შეიძლება, უნდა გამოვფხიზლდეთ. უფრო აქტიურად და მეტი ფანტაზიით თამაშია საჭირო. თუ „მილანი“ ის არის, რაც ამ მატჩში ვიხილეთ, სრული სიბნელე ყოფილა, რადგან ეს კოშმარია. თუმცა არც ის გეგონოთ, რომ პასუხისმგებლობას გავურბივარ, როცა გუნდი ცუდად გამოიყურება და ეს დიდწილად მწვრთნელის ბრალიცაა. მერვედფინალს რაც შეეხება, მთავარია, ახლა „ბარსელონა“ აგვცდეს, რომელიც მშვენიერ ფორმაშია, ჩვენ კი პირიქით. ზამთრის შესვენება ძალიან მნიშვნელოვანი [illegible] რო იქნება, ძალები უნდა [illegible] გინოთ, ეს მართლაც [illegible] — აღნიშნა ანჩელოტიმ.

**ბერძნული** აეკ-ის ბედი თავისსავე ხელში იყო, მაგრამ ათენელებმა ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად ნანატრი გამარჯვების მოპოვება მაინც ვერ შეძლეს და მერვედფინალის ნაცვლად ახლა უეფას თასის მეთექვსმეტედფინალით მოუწევთ დაკმაყოფილება.

აეკ-მა უშიშრად დაიწყო და ერთი-ორი მომენტიც შექმნა, მაგრამ ანგარიში „ანდერლეხტმა“ გახსნა. გოლი 38-ე წუთზე კურიოზულად გავიდა, სტუმართა მცველების დაბნეულობითა და რამდენიმე რიკოშეტით ანტონი ვანდენ ბორემ მშვენივრად ისარგებლა.

ბრიუსელელებმა სხვაობა 69-ე წუთზე გაზარდეს, როცა ნიკოლას ფრუტოსმა დამატებაზე ივარგა. ათენელები არ დანებდნენ და მაინც გაიბრძოლეს. ჯერ ვასილიოს ლაკისმა თავურით ბურთი გაქვითა, 81-ე წუთზე კი ბრუნო ჩირილომ ეფექტური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. თუმცა ლორენს სერა ფერერის გუნდს გამოფხიზლება ცოტა დააგვიანდა, აეკ-ს მეტისთვის დრო აღარ ეყო.

**გიორგი ქაქაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ იქნება ოღონდ ბარსა!



**კრიზისში** მყოფი „მილანი“ იმედოვნებს, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში შედარებით სუსტ მეტოქეს შეხვდება. შიშით კი „როსონერის“ ხელმძღვანელობას ყველაზე მეტად „ბარსელონასი“ ეშინია. შეგახსენებთ, რომ წილისყრა 15 დეკემბერს მიუნხენში გაიმართება.

„იმედი გვაქვს, რომ მერვედფინალში „ბარსელონა“ არ შეგვხვდება, რომელმაც წინა სეზონში დაგვამარცხა და ახლაც ჩინებულ ფორმაშია. ამჟამად კატალონიელები ჩვენთვის ყველაზე საშიში მეტოქეები არიან. არის 20 პროცენტი იმის შანსიც, რომ მადრიდის „რეალთან“ მოგვიწევს პაექრობა, რაც ასევე ადგილი არ იქნება“ — თქვა „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

დიდი ხანია, ლაპარაკია იმაზე, რომ „მილანს“ რონალდინიოს შეძენა უნდა. მოგვიანებით ისიც თქვა, „სან სიროს“ ბინადრები კატალონიელთა კიდევ ორი ვარსკლავით, სამუელ ეტოოთი და ლიონელ მესით არიან დაინტერესებულნიო.

ადრიანო გალიანი: „ეტოო და რონალდინიო? ისინი დიდებული ფეხბურთელები არიან, რომლებსაც ლიონელ მესიც ემატება და ეს მსოფლიოს საუკეთესო თავდასხმას ქმნის. თუმცა არც ერი მათგანის ყიდვა ჩვენს გეგმებში არ შედის, ეს ფაქტობრივად შეუძლებელია“.

ვთქვათ ისიც, რომ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი უახლოესი ორი კვირის მანძილზე საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის, სადაც აპელაცია აქვს შეტანილი და ეიმედება, რომ ცხრათვიან დისკვალიფიკაციას თუ არ მოუხსნიან, შეუმცირებენ მაინც. თუმცა ასე რომც არ მოხდეს, იგი სამოქალაქო სასამართლოში ჩივილს აღარ აპირებს, ეს სპორტის კანონებს ეწინააღდეგება.

„არ მინდა, რაიმე პროგნოზი გავაკეთო. უბრალოდ, 8-10 დღე დავიცადოთ და ვნახოთ, რას გადაწყვეტს საარბიტრაჟო სასამართლო. იმედია, ვერდიქტი ჩემთვის მისაღები იქნება, მაგრამ დისკვალიფიკაცია რომც არ შემიმცირონ, სამოქალაქო სასამართლოში არ ვიჩივლებ. 30 წელია, ფეხბურთში ვტრიალებ, 10 წელი „მონცაში“ 20 წელი „მილანში“ და ამ ხნის განმავლობაში სპორტული კანონების წინააღმდეგ ერთხელაც არ წავსულვარ. ეს არც ახლა მოხდება“ — დასძინა გალიანიმ.

და ბოლოს, იტალიაში გავრცელებული ახალი ჭორის თანახმად, ამ სეზონში ცუდად მოთამაშე ალბერტო ჯილარდინო მომავალ ზაფხულს „იუვენტუსში“ გადავა, მაგრამ „მილანის“ უფროსობა ამ ინფორმაციას უარყოფს.

**გიორგი ჭაჭაბაძე**



# ცხრა გოლი ავად გამხდარა

**კრისტიან რიგანო** ამჟამად 9 გოლით ფრანჩესკო ტოტისთან ერთად სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირია, მაგრამ იგი თავის მონაგარს ახალ წლამდე ვერ გაზრდის. „მესინას“ ვეტერანი ფორვარდისთვის სეზონი მშვენივრად დაიწყო, მაგრამ გასულ უქმეებზე „სამპდორიასთან“ მატჩში 32 წლის რიგანომ საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და ექიმების ვარაუდით, სულ მცირე 20 დღე ვერ ითამაშებს.

გაჭირვებულს ქვა აღმართში წამოეწიაო, „მესინას“ ისედაც ცუდი პერიოდი უდგას, ბოლო ხუთი შეხვედრიდან ოთხი წააგო და ეს ინფორმაცია განსაკუთრებით არ ესიამოვნა. მით უმეტეს, რომ დაშვებულია სიცილიელთა მეორე ფორვარდი არტურო დი ნაპოლიც, თუმცა ამბობენ, მან მომავალ უქმეებზე ბერგამოს „ატალანტასთან“ შეიძლება ითამაშოს.

ვთქვათ ისიც, რომ „მესინას“ მწვრთნელ ბრუნო ჯორდანოს „სამპდორიასთან“ წაგებული მატჩის მერე თავის შეგირდებთან საგანგებო შეხვედრა და მკაცრი საუბარი ჰქონდა — გამოფხიზლდით და უკეთ ითამაშეთო. სიცილიელებმა სეზონი კარგად კი დაიწყეს, მაგრამ ბოლო პერიოდში...

**კოკი კანდელაკი**

# კარგად დააკვირდით ამ სახეს

## ფარინა ნედვედს არ ჩაყლაპავს



სტეფანო ფარინა



ფრანჩესკო ბეგა

სტეფანო ფარინა ის მსაჯი გახლავთ, რომელმაც „ჯენოასთან“ შეხვედრის დროს მოედნიდან „იუვენტუსის“ ჩეხი ვარსკვლავი პაველ ნედვედი გააგდო. ეს გაგდება ნედვედს ხუთმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა. „სარბიელის“ მკითხველთათვის ცნობილია, რომ გაძევების მიზეზი, თითქოსდა, გენუელი ფრანჩესკო ბეგასთვის განზრახ ფეხის დაბიჯება გახლდათ, თუმცა ფარინამ ფედერაციაში წარდგენილ ოქმში ჩაწერა, რომ ნედვედმა ფეხი მასაც დააბიჯა. მოგეხსენებათ ისიც, რომ ნედვედი დისკვალიფიკაციას მწვავედ გამოეხმაურა და ფარინას, არც მეტი არც ნაკლები, მატყუარა უწოდა

„ერთ სიტყვასაც არ წავიღებ უკან. ვადასტურებ ყველაფერს რაც აქამდე განვაცხადე — თქვა თავის მხრივ აღშფოთებულმა მსაჯმა — ყველაფერი ჩემს ოქმშია აღნიშნული. იქ დაწვრილებით ჩავწერე, მოედანზე რაც მოხდა“.

შეგახსენებთ, რომ ნედვედმა მომხდარი მიზანმიმართულ კამპანიის ნაწილადაც კი აღიქვა და ფეხბურთიდან წასვლით დაიმუქრა.

ფარინა: „როდესაც საქმე ფეხბურთელის დასჯას ეხება, მსაჯი არაფერ შუაშია, საქმეს სადისციპლინო კომისია წყვეტს. კომისიის გადაწყვეტილებებს ვერც კომენტარს გავუკეთებ და ვერც შევაფასებ. აქ, იტალიაში მსაჯები პრესის საგანგებო ზეწოლის ქვეშ არიან. ვინ მოთვლის მერამდენედ ვხდებით იტალიურ ფეხბურთში არსებული პრობლემების მისაჩქმალ განტევების ვაცად“.

„იუვენტუსმა“ ნედვედის გაგდების მომენტი თავის მხრივ „ყვითლად“ შეაფასა. ტურინული კლუბის შეფების აზრით პირდაპირ წითელი ბარათის ამოღება ზედმეტი იყო, თუმცა დაზარალებულმა ფეხბურთელმა ბეგამ ტელეარხ „ოდეონზე“ ასე ბრძანა:

| 12212 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 12213 | ბარსელონა-სოსიედადი | 2.00 | 1.60 |
| 12215 | სელტა-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12216 | სეტაფე-ბეტისი | 1.60 | 2.00 |
| 12217 | ტარაგონა-ლევანტე | 1.60 | 2.00 |
| 12218 | ოსასუნა-მალიორკა | 1.60 | 2.00 |
| 12219 | რასინგი-სარაგოსა | 1.60 | 2.00 |
| 12220 | სევილია-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12221 | ვალენსია-დეპორტივო | 1.60 | 2.00 |
| 12233 | ბორდო-რენი | 1.60 | 2.00 |
| 12234 | ლილი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.00 |
| 12236 | ლორიანი-სედანი | 1.60 | 2.00 |
| 12238 | ლიონი-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 12240 | მარსელი-მონაკო | 1.60 | 2.00 |
| 12241 | ნანტი-ლე მანი | 1.60 | 2.00 |
| 12242 | ნიცა-ნანსი | 1.55 | 2.10 |
| 12243 | ტულუზი-ლანსი | 1.60 | 2.00 |
| 12244 | ტრუა-ოსერი | 1.55 | 2.10 |
| 12245 | ვალენსიენი-სოშო | 1.55 | 2.10 |
| 12696 | ვოლფსბურგი-ალემანია | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13006 | მანჩესტერი-სიტი | 1.90 | 1.70 |
| 13008 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | მიდლსბრო-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | პორტსმუთი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | უოტფორდი-რედინგი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | ლივერპული-ფულემი | 1.90 | 1.70 |
| 13014 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13016 | ჩელსი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13017 | შეფილდი-ასტონ ვილა | 1.60 | 2.00 |
| 13091 | აბერდინი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 |
| 13093 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 13094 | ჰართსი-მოსერუელი | 1.70 | 1.90 |
| 13096 | კილმარნოკი-სტ.მირენი | 1.70 | 1.90 |
| 13097 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1.70 | 1.90 |
| 13098 | დანფერმლაინი-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 13104 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 13105 | ბაიერნი-კოტბუსი | 1.90 | 1.70 |
| 13107 | აინტრახტი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13109 | ჰანოვერი-არმინია | 1.70 | 1.90 |
| 13110 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 13111 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.70 | 1.90 |
| 13113 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 13114 | შალკე-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13167 | რეჯინა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13168 | პალერმო-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13169 | ატალანტა-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13170 | კალიარი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13171 | კატანია-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13172 | კიევო-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13173 | ემპოლი-ინტერი | 1.90 | 1.70 |
| 13175 | მილანი-ტორინო | 1.90 | 1.70 |
| 13177 | სამპდორია-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13178 | ლაციო-რომა | 1.60 | 2.00 |
| 13210 | ბილბაო-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 13212 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13213 | ბარსელონა-სოსიედადი | 1.90 | 1.70 |
| 13215 | სელტა-ვილიარეალი | 1.90 | 1.70 |
| 13216 | სეტაფე-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13217 | ტარაგონა-ლევანტე | 1.70 | 1.90 |
| 13218 | ოსასუნა-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13219 | რასინგი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13220 | სევილია-რეალი | 1.60 | 2.00 |
| 13221 | ვალენსია-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13233 | ბორდო-რენი | 1.90 | 1.70 |
| 13234 | ლილი-სტ.ეტიენი | 1.90 | 1.70 |
| 13236 | ლორიანი-სედანი | 1.90 | 1.70 |
| 13238 | ლიონი-პსჟ | 2.00 | 1.60 |
| 13240 | მარსელი-მონაკო | 1.90 | 1.70 |
| 13241 | ნანტი-ლე მანი | 1.90 | 1.70 |
| 13242 | ნიცა-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 13243 | ტულუზი-ლანსი | 1.90 | 1.70 |
| 13244 | ტრუა-ოსერი | 1.90 | 1.70 |
| 13245 | ვალენსიენი-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13696 | ვოლფსბურგი-ალემანია | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14006 | მანჩესტერი-სიტი | 1.12 | 2.60 |
| 14008 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.70 | 2.10 |
| 14009 | მიდლსბრო-უიგანი | 1.70 | 2.10 |
| 14010 | პორტსმუთი-ევერტონი | 1.80 | 2.00 |
| 14011 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.20 | 2.60 |
| 14012 | უოტფორდი-რედინგი | 1.90 | 1.90 |
| 14013 | ლივერპული-ფულემი | 1.08 | 2.90 |
| 14014 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 1.60 | 2.30 |
| 14016 | ჩელსი-არსენალი | 1.60 | 2.30 |
| 14017 | შეფილდი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.80 |
| 14091 | აბერდინი-ფოლკირკი | 1.40 | 2.40 |
| 14093 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 1.80 | 2.00 |
| 14094 | ჰართსი-მოსერუელი | 1.30 | 2.50 |
| 14096 | კილმარნოკი-სტ.მირენი | 1.40 | 2.40 |
| 14097 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1.35 | 2.50 |
| 14104 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1.75 | 2.10 |
| 14105 | ბაიერნი-კოტბუსი | 1.05 | 2.90 |
| 14107 | აინტრახტი-ვერდერი | 2.30 | 1.60 |
| 14109 | ჰანოვერი-არმინია | 1.70 | 2.20 |
| 14110 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.40 | 2.40 |
| 14111 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.20 | 2.60 |
| 14113 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1.80 | 2.00 |
| 14114 | შალკე-დორტმუნდი | 1.40 | 2.40 |
| 14167 | რეჯინა-ასკოლი | 1.40 | 2.40 |
| 14168 | პალერმო-ლივორნო | 1.40 | 2.40 |
| 14169 | ატალანტა-მესინა | 1.40 | 2.40 |
| 14170 | კალიარი-პარმა | 1.40 | 2.40 |
| 14171 | კატანია-უდინეზე | 1.80 | 2.00 |
| 14172 | კიევო-ფიორენტინა | 2.00 | 1.80 |
| 14173 | ემპოლი-ინტერი | 2.50 | 1.30 |
| 14175 | მილანი-ტორინო | 1.05 | 2.90 |
| 14177 | სამპდორია-სიენა | 1.70 | 2.20 |
| 14178 | ლაციო-რომა | 2.00 | 1.80 |
| 14210 | ბილბაო-უელვა | 1.80 | 1.90 |
| 14212 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.40 | 2.40 |
| 14215 | სელტა-ვილიარეალი | 1.80 | 2.00 |
| 14216 | სეტაფე-ბეტისი | 1.60 | 2.30 |
| 14217 | ტარაგონა-ლევანტე | 1.80 | 1.90 |
| 14218 | ოსასუნა-მალიორკა | 1.75 | 2.10 |
| 14219 | რასინგი-სარაგოსა | 1.95 | 1.85 |
| 14220 | სევილია-რეალი | 1.80 | 1.90 |
| 14221 | ვალენსია-დეპორტივო | 1.30 | 2.50 |
| 14233 | ბორდო-რენი | 1.30 | 2.50 |
| 14234 | ლილი-სტ.ეტიენი | 1.40 | 2.40 |
| 14236 | ლორიანი-სედანი | 1.30 | 2.50 |
| 14238 | ლიონი-პსჟ | 1.20 | 2.60 |
| 14240 | მარსელი-მონაკო | 1.70 | 2.20 |
| 14241 | ნანტი-ლე მანი | 1.75 | 2.10 |
| 14242 | ნიცა-ნანსი | 1.75 | 2.10 |
| 14243 | ტულუზი-ლანსი | 1.75 | 2.10 |
| 14244 | ტრუა-ოსერი | 1.80 | 2.00 |
| 14245 | ვალენსიენი-სოშო | 1.80 | 1.90 |
| 14696 | ვოლფსბურგი-ალემანია | 1.40 | 2.40 |

9 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 327 | ბეშიქთაში-კაისერი | 1.55 | 3.60 | 5.70 | 1.08 | 1.21 | 2.20 |
| 16:00 | 330 | ერჯიესი-სივასპორი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 16:00 | 336 | რიზე-საკარია | 1.90 | 3.30 | 3.75 | 1.20 | 1.26 | 1.75 |

10 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 328 | დენიზლი-მანისა | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 21:00 | 331 | გალათასარაი-ბურსა | 1.35 | 4.40 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.83 |
| 16:00 | 333 | გაზიანთეფი-კონია | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 16:00 | 334 | გენჩლერბირლიგი-ანტალია | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 18:00 | 337 | ტრაბზონი-ანკარა | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |

შოტლანდია. თასი

9 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 697 | ბერვიკი-არბროათი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 19:00 | 698 | პიტერჰედი-ეარი | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| 19:00 | 699 | რეითი-დამბარტონი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 19:00 | 700 | სტრანრაერი-ფორფარი | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |

ჰოკეი. ფინეთი

8 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 478 | ტურკუ-ტაპარა | 2.00 | 4.00 | 2.50 | 1.33 | 1.11 | 1.53 |

ჰოკეი. ჩეხეთი

8 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 493 | ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 20:00 | 494 | ვსეტინი-ბუდეიოვიცე | 2.90 | 4.10 | 1.80 | 1.69 | 1.11 | 1.25 |
| 20:30 | 495 | კლადნო-ზლინი | 2.10 | 4.00 | 2.30 | 1.37 | 1.09 | 1.46 |
| 20:30 | 496 | ლიტვინოვი-პლზენი | 1.55 | 4.20 | 3.50 | 1.13 | 1.07 | 1.90 |
| 21:00 | 497 | პარდუბიცე-სპარტა | 2.00 | 4.20 | 2.40 | 1.35 | 1.09 | 1.52 |
| 22:00 | 498 | სლავია-ტრჟინეცი | 1.65 | 4.10 | 3.30 | 1.17 | 1.10 | 1.82 |

9 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 499 | ზნოიმო-ლიბერეცი | 2.15 | 4.00 | 2.30 | 1.39 | 1.11 | 1.46 |

ჰოკეი. სლოვაკეთი

8 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 505 | სკალიცა-პოპრადი | 2.10 | 4.00 | 2.40 | 1.37 | 1.12 | 1.50 |
| 20:00 | 506 | ზვოლენი-მიკულაში | 1.35 | 4.40 | 5.00 | 1.03 | 1.06 | 2.34 |
| 20:30 | 507 | კოშიცე-ჟილინა | 1.32 | 4.80 | 5.80 | 1.03 | 1.07 | 2.62 |
| 20:00 | 508 | მარტინი-ტრენჩინი | 2.00 | 4.10 | 2.50 | 1.34 | 1.11 | 1.55 |
| 20:30 | 509 | ნიტრა-სლოვანი | 2.40 | 4.00 | 2.10 | 1.50 | 1.12 | 1.37 |

ჰოკეი. გერმანია

8 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 517 | აისბარენი-იზერლონი | 1.70 | 4.20 | 2.90 | 1.21 | 1.07 | 1.71 |
| 22:30 | 518 | აუგსბურგი-ჰამბურგი | 2.30 | 4.10 | 2.05 | 1.47 | 1.08 | 1.36 |
| 22:30 | 519 | სტრაუბინგი-დუისბურგი | 1.70 | 4.30 | 2.90 | 1.21 | 1.07 | 1.73 |
| 22:30 | 520 | ნიურნბერგი-კრეფელდი | 1.75 | 4.30 | 2.85 | 1.24 | 1.08 | 1.71 |
| 22:30 | 521 | დიუსელდორფი-კიოლნი | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |

ჰოკეი. შვეიცარია

8 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 531 | ცუგი-ბაზელი | 1.60 | 4.40 | 3.40 | 1.17 | 1.08 | 1.91 |

9 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 532 | დავოსი-ციურიხი | 1.60 | 4.30 | 3.50 | 1.16 | 1.09 | 1.92 |
| 22:45 | 533 | ფრიბურგი-ცუგი | 2.30 | 4.10 | 2.10 | 1.47 | 1.09 | 1.38 |
| 22:45 | 534 | კლოტენი-ბერნი | 2.20 | 4.00 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 22:45 | 535 | რაპერსვილი-სერვეტი | 1.80 | 4.20 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

ჰოკეი. რუსეთი

8 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 551 | ავანგარდი-ასკ | 1.20 | 4.90 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.69 |
| 20:00 | 552 | აკ ბარსი-მვდ | 1.25 | 4.80 | 6.00 | 1.00 | 1.03 | 2.66 |
| 13:00 | 553 | ამური-ვიტიაზი | 1.95 | 4.40 | 2.30 | 1.35 | 1.05 | 1.51 |
| 20:00 | 554 | კრილია-ცსკა | 3.60 | 4.50 | 1.32 | 2.00 | 1.00 | 1.02 |
| 18:30 | 555 | ლადა-ტრაქტორი | 1.40 | 4.40 | 3.80 | 1.06 | 1.02 | 2.03 |
| 19:30 | 556 | ლოკომოტივი-ნოვოკუზნეცკი | 1.35 | 4.50 | 4.50 | 1.03 | 1.03 | 2.25 |
| 20:00 | 557 | ნეფტეხიმიკი-დინამო | 1.95 | 4.20 | 2.40 | 1.33 | 1.07 | 1.52 |
| 18:00 | 558 | სალავატი-მაგნიტოგორსკი | 2.05 | 4.10 | 2.30 | 1.36 | 1.08 | 1.47 |

9 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 559 | ხიმიკი-სევერსტალი | 1.40 | 4.40 | 4.30 | 1.06 | 1.05 | 2.17 |

კალათბურთი. საბერძნეთი

9 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 674 | პანელინიოსი-მაკედონიკოსი | 1.02 | 12.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 5.14 |
| 19:00 | 675 | ოლიმპიაკოსი-აეკ | 1.05 | 12.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 21:00 | 676 | აპოლონი-მარუსი | 2.50 | 12.00 | 1.40 | 2.06 | 1.00 | 1.25 |
| 21:00 | 677 | აელ-ოლიმპია | 1.70 | 12.00 | 2.10 | 1.48 | 1.00 | 1.78 |

10 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 678 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1.05 | 12.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 19:00 | 679 | ეგალეო-აეპ | 1.40 | 12.00 | 2.65 | 1.25 | 1.00 | 2.17 |
| 23:00 | 680 | პაოკ-არისი | 1.70 | 12.00 | 2.00 | 1.48 | 1.00 | 1.71 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15006 | მანჩესტერი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ბლეკბერნი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | მიდლსბრო-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | პორტსმუთი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | უოტფორდი-რედინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ლივერპული-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ჩელსი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | შეფილდი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | აბერდინი-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | ჰარტსი-მოზერველი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | კილმარნოკი-სტ.მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | დანფერმლაინი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ლევერკუზენი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ბაიერნი-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | აინტრახტი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | ჰანოვერი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15110 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15111 | შტუტგარტი-ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15113 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15114 | შალკე-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | რეჯინა-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | პალერმო-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | ატალანტა-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | კალიარი-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | კატანია-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | კიევო-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | ემპოლი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | მილანი-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | სამპდორია-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | ლაციო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | ბილბაო-უელვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | ბარსელონა-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | სელტა-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | ხეტაფე-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | ტარაგონა-ლევანტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15218 | ოსასუნა-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15219 | რასინგი-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15220 | სევილია-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15221 | ვალენსია-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | ბორდო-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | ლილი-სტ.ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | ლორიანი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15238 | ლიონი-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15240 | მარსელი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15241 | ნანტი-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15242 | ნიცა-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15243 | ტულუზი-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15244 | ტრუა-ოსერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15245 | ვალენსიენი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15696 | ვოლფსბურგი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16006 | მანჩესტერი-სიტი | 1.03 | 7.00 |
| 16008 | ბლეკბერნი-ნიუკასლი | 1.40 | 2.50 |
| 16009 | მიდლსბრო-უიგანი | 1.40 | 2.50 |
| 16010 | პორტსმუთი-ევერტონი | 1.45 | 2.30 |
| 16011 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.10 | 5.20 |
| 16012 | უოტფორდი-რედინგი | 1.80 | 1.80 |
| 16013 | ლივერპული-ფულემი | 1.03 | 7.00 |
| 16014 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 1.25 | 3.30 |
| 16016 | ჩელსი-არსენალი | 1.25 | 3.30 |
| 16017 | შეფილდი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.70 |
| 16091 | აბერდინი-ფოლკირკი | 1.20 | 3.60 |
| 16093 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 1.55 | 2.10 |
| 16094 | ჰარტსი-მოზერველი | 1.15 | 4.00 |
| 16096 | კილმარნოკი-სტ.მირენი | 1.20 | 3.60 |
| 16097 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1.17 | 4.00 |
| 16098 | დანფერმლაინი-სელტიკი | 7.00 | 1.02 |
| 16104 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1.57 | 2.10 |
| 16107 | აინტრახტი-ვერდერი | 2.85 | 1.30 |
| 16109 | ჰანოვერი-არმინია | 1.50 | 2.30 |
| 16110 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.28 | 3.00 |
| 16111 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.12 | 5.00 |
| 16113 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1.50 | 2.30 |
| 16114 | შალკე-დორტმუნდი | 1.25 | 3.10 |
| 16167 | რეჯინა-ასკოლი | 1.22 | 3.50 |
| 16168 | პალერმო-ლივორნო | 1.15 | 4.00 |
| 16169 | ატალანტა-მესინა | 1.22 | 3.50 |
| 16170 | კალიარი-პარმა | 1.22 | 3.50 |
| 16171 | კატანია-უდინეზე | 1.60 | 2.00 |
| 16172 | კიევო-ფიორენტინა | 2.00 | 1.55 |
| 16173 | ემპოლი-ინტერი | 3.90 | 1.15 |
| 16177 | სამპდორია-სიენა | 1.32 | 2.80 |
| 16178 | ლაციო-რომა | 2.00 | 1.60 |
| 16210 | ბილბაო-უელვა | 1.60 | 2.00 |
| 16212 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.22 | 3.50 |
| 16215 | სელტა-ვილიარეალი | 1.65 | 2.00 |
| 16216 | ხეტაფე-ბეტისი | 1.30 | 2.90 |
| 16217 | ტარაგონა-ლევანტე | 1.70 | 1.90 |
| 16218 | ოსასუნა-მალიორკა | 1.45 | 2.40 |
| 16219 | რასინგი-სარაგოსა | 1.90 | 1.70 |
| 16220 | სევილია-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 16221 | ვალენსია-დეპორტივო | 1.23 | 3.50 |
| 16233 | ბორდო-რენი | 1.22 | 3.40 |
| 16234 | ლილი-სტ.ეტიენი | 1.25 | 3.10 |
| 16236 | ლორიანი-სედანი | 1.25 | 3.10 |
| 16238 | ლიონი-პსჟ | 1.08 | 5.30 |
| 16240 | მარსელი-მონაკო | 1.35 | 2.70 |
| 16241 | ნანტი-ლე მანი | 1.55 | 2.10 |
| 16242 | ნიცა-ნანსი | 1.55 | 2.10 |
| 16243 | ტულუზი-ლანსი | 1.55 | 2.10 |
| 16244 | ტრუა-ოსერი | 1.65 | 1.90 |
| 16245 | ვალენსიენი-სოშო | 1.70 | 1.90 |
| 16696 | ვოლფსბურგი-ალემანია | 1.30 | 2.80 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17006 | მანჩესტერი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ბლეკბერნი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | მიდლსბრო-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | პორტსმუთი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | უოტფორდი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ლივერპული-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ჩელსი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17017 | შეფილდი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17091 | აბერდინი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | ჰარტსი-მოზერველი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | კილმარნოკი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17097 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | დანფერმლაინი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ბაიერნი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | აინტრახტი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | ჰანოვერი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17110 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17111 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17113 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17114 | შალკე-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17167 | რეჯინა-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | პალერმო-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17169 | ატალანტა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17170 | კალიარი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17171 | კატანია-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17172 | კიევო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17173 | ემპოლი-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17175 | მილანი-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17177 | სამპდორია-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ლაციო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17210 | ბილბაო-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ბარსელონა-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17215 | სელტა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | ხეტაფე-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ტარაგონა-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17218 | ოსასუნა-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17219 | რასინგი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17220 | სევილია-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17221 | ვალენსია-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17233 | ბორდო-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ლილი-სტ.ეტიენი | 1.85 | 1.95 |
| 17236 | ლორიანი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17238 | ლიონი-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17240 | მარსელი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17241 | ნანტი-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17242 | ნიცა-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17243 | ტულუზი-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17244 | ტრუა-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17245 | ვალენსიენი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17696 | ვოლფსბურგი-ალემანია | 1.85 | 1.95 |

#### დინამო 26:19 ლელო

**დინამო:** შუბითიძე, გრუდკო, ოდიშარია, ხვიჩია, ზაქარეიშვილი; ავლოხაშვილი, რამიშვილი; გუგუშვილი, ხორბალაძე, ცხადაძე, მეიშვილი, უჩავა, ხმიადაშვილი, ნატროშვილი, გაგნიძე
**3 ლელო:** რამიშვილი, ხმიადაშვილი, უჩავა
**3 საჯ:** უჩავა; **1 გარდ:** უჩავა
**ლელო:** ყიასაშვილი, ზაალიშვილი, ფირფილაშვილი, თოდუა, ცერცვაძე; ხმალაძე, თოფურია; სარდანაშვილი, დაუშვილი, ჯამრულიძე, მაისურაძე, რამაზაშვილი, გელაშვილი, მჭედლიშვილი, სანიკიძე
**1 ლელო:** ხმალაძე
**4 საჯ:** ყიასაშვილი; **1 გარდ:** ყიასაშვილი
**მსაჯი:** ლევან მგელაძე

# საქართველოს ჩემპიონატი
## პლეი ოფი. ნახევარფინალი. 7 დეკემბერი. „შევარდენი"
# სამი ჩემპიონი და დინამო


ლელოელებმა „დინამო" ვერ შეაჩერეს

ბადრი კოპილაძის ფოტო

საფეხბურთო და საკალათბურთო სეხნიებისგან განსხვავებით, სარაგბო „დინამოს" წარმატებებით არცთუ მდიდარი ისტორია აქვს. ამ გუნდს არადსროს ჰქონია უმაღლესი ამბიცია, თუმც ახლა ისეა მოძლიერებული, არავის გაუკვირდება, ჩემპიონობასაც რომ გამოჰკრას ხელი. 13 დეკემბერს ფინალურ ჯახში „დინამო" ჩემპიონ „ლოკომოტივს" შეერკინება და თუ უკან დაახევინებს, საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება.

მაგრამ „ლოკოსთან" რკენის უფლებას მოიპოვებდა, „დინამომ" ნახევარფინალში, დაძაბულ და საინტერესო ჯახში ყოფილი ჩემპიონი, 2004 წელს გამარჯვებული „ლელო" დაამარცხა. „დინამო" მრავალფეროვნად არა, მაგრამ ბევრს უტევდა. მე-3 წუთზე გატანილი ლელოთი ანგარიში ლელოელმა ხმალაძემ გახსნა და ყიასაშვილის გარდასახვის შემდეგ მათი გუნდი 7:0 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ლელოები მხოლოდ დინამოელებს გაჰქონდათ. გარდასახვა-საჯარიმოებს კი — ცოტა გასაკვირი კია და — მათი ერთ-ერთი ყველაზე ზორბა მორკინალი უჩავა ურტყავდა, რომელმაც 1 ლელო, 1 გარდასახვა და 3 საჯარიმო გაიტანა და თავისი გუნდის 26 ქულიდან 16 საკუთარ ანგარიშზე ჩაიწერა.

დაძაბულ მატჩში რკენა ბოლომდე გაგრძელდა. ბოლო წუთებზე 26:19 ანგარიშზე „ლელომ" თავგანწირული იერიში წამოიწყო და რამდენიმე მეტრამდეც მიუახლოვდა „დინამოს" ჩათვლის მოედანს. იერიში ცენტრიდან, ზედ კართან მიდიოდა და „ლელოს" ლელო რომ გაეტანა, არც მისი გარდასახვა გაუჭირდებოდა და 26:26 ანგარიშზე დამატებითი დროც გაიმართებოდა, მაგრამ „დინამომ" იყოჩაღა, მეტოქეს ბურთი მოჰპარა და ფინალის საგზურიც ასე ბრძოლაში მოიპოვა.

#### ლოკომოტივი 16:13 ყოჩები

**ლოკომოტივი:** ასათიანი, ანდღულაძე, ხაჩილაშვილი, გილაური, ჩიხლაძე; კვინიხიძე, უდესიანი; მაისურაძე, ბერიშვილი, ყურაშვილი, კორკოტაძე, მთიულიშვილი, მალალაძე, ტურაშვილი, ნიშნიანიძე
*შეცვლაზე შევიდნენ:* ბერძენიშვილი, კახიანი, ლვინჯილია, პეტრიაშვილი
**2 ლელო:** ბერძენიშვილი, ნიშნიანიძე
**2 საჯ:** კვინიხიძე
**ყოჩები:** სოხაძე, ელოშვილი, დადაშიანი, კაჭარავა, ს. ნიჟარაძე; მალალურაძე, გეგენავა; ჯორჯაძე, ტუჩაშვილი, ბრეგვაძე, კუჭუხიძე, არჩუაშვილი, ჭავჭავაძე, გ. ნიჟარაძე, ასეიშვილი
*შეცვლაზე შევიდა:* ანჯაფარიძე
**1 ლელო:** ელოშვილი
**2 საჯ:** მალალურაძე; **1 გარდ:** მალალურაძე
**მსაჯი:** ნოდარ რობიტაშვილი

მოულოდნელად კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა მეორე ნახევარფინალური მატჩი. ძველი მეტოქეების — „ლოკომოტივისა" და „ყოჩების" რკენა ყოველთვის დამაინტრიგებელი და ჩვენი შინაური რაგბის ნამდვილი მშვენებაა, მაგრამ დასუსტებული და პლეი ოფში მეოთხე ადგილიდან გასული „ყოჩები" ჩემპიონებს ასეთი წინააღმდეგობას თუ გაუწევდნენ, ცოტა ძნელი წარმოსადგენი იყო.

ბრძოლა და კვეთება 80 წუთს გაგრძელდა და ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო მეორე ფინალისტის ვინაობა. „ლოკომოტივი" დაუცხრომლად უტევდა და მამადგენლობაში უპირატესობას ქულებში ასახვას ცდილობდა. მაგრამ მაგრად იდგნენ „ყოჩები" და მეტოქეს იერიშებს იერიშებით პასუხობდნენ.

პირველ ტაიმში გუნდებმა თითო საჯარიმო გაცვალეს, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ მოედანზე საინტერესო არაფერი ხდებოდა. „შევარდენის" მიწას უმოწყალოდ ტკეპნიდნენ ერთმანეთისთვის არაფრის დამთმობი მორაგბეები.

მეორე ტაიმშიც ანგარიში კარგა ხანს იყო 3:3-ზე გაყინული და მისი შეცვლის პირველი და რეალური შანსი 66-ე წუთზე „ყოჩელ" მალალურაძეს მიეცა, მაგრამ მან ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა და თამაშის გარდატეხის ძალზე რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. თამაში კი ლოკომოტიველებმა გარდატეხეს. 70-ე წუთზე კვინიხიძემ რამდენიმე „ყოჩი" ცრუმოძრაობით განზე დატოვა და შეცვლაზე შესულ ბერძენიშვილს მატჩის პირველი ლელო გაატანინა, ოღონდ ვეღარ გარდასახა — 8:3.

„ყოჩებმა" „ლოკოს" ლელოს მალალურაძის საჯარიმოთი უპასუხეს და საკუთარ ჩათვლის მოედანში არც მეორე, გუნდური ლელოს მიღების შემდეგ გატყდნენ. კვინიხიძემ ვერც მეორე ლელო გარდასახა და 13:6 ანგარიშზე „ყოჩებს" თამაში ხსნის შანსი მისცა. მეტოქემაც გამოიყენა ეს შანსი — ელოშვილმა ლელო გაიტანა. მალალურაძემ კი გარდასახვა მიაყოლა და 13:13 გაათანაბრა.

მაგრამ დამატებითი დრო აღარ დანიშნულა. მსაჯისგან წამატებულ წუთებზე კვინიხიძის საჯარიმო დარტყმამ ფინალში გზა „ლოკომოტივს" გაუკაფა.

**ირაკლი ფირაშვილი**

---

**სარაგბო ნაკრების პორტუგალიურ წარმატებას საქართველოს რაგბის კავშირმა პრესკონფერენცია გასულ კვირაში მიაყოლა, მაგრამ კავშირის პრეზიდენტმა მერაბ ანთაძემ მაშინ მომავალი მსოფლიოს თასის ტელერეპორტაჟის შესახებ ისაუბრა. უშუალოდ ლისაბონის მატჩისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციას კი 7 დეკემბრისთვის დაგვპირდა. გუშინ თბილისში სარაგბო დღე იყო — საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალები ჩატარდა და ამის გამო დანაპირები შეკრება კაფე „მსოფლიოს სპორტში" დილით დაიწყო**

# ქართული ჰაკა სულ სხვაა
## მამაო ჩვენო და ჰაკა მაგას



ბადრი კოპილაძის ფოტო

კოკა ლაზიშვილი და მერაბ ანთაძე

**რაგბის** კავშირის პრეზიდენტმა და მისმა მოადგილე კოკა ლაზიშვილმა საფრანგეთი 2007-ის შესარჩევი ეტაპის პერიპეტიებზე დაწვრილებით ისაუბრეს და ბორჯღალოსანთა მსოფლიოს თასისთვის მომზადებასა და ზოგადად ქართული რაგბის აწმყო-მომავალსაც გადასწვდნენ.

ცხადია, პირველი მილოცვა მერაბ ანთაძის იყო: „ქართულმა რაგბიმ უდიდესი გამარჯვება იზეიმა. ზედიზედ მეორედ გავიდა მსოფლიოს თასზე და მსოფლიოს 20 უძლიერეს ნაკრებს შორის მყარად მოიკიდა ფეხი. გადამწყვეტი ნაბიჯი პორტუგალიაში გადავდგით. ლისაბონური სიხარული ორწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგი იყო. საქართველოს რაგბის კავშირი მადლობას მოახსენებს ეროვნულ ნაკრებს ამ თავდადებისა და გამარჯვებისთვის, რომელსაც მთელი ქართული სპორტისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მადლობა ყველას, ვისაც კი წარმატებაში თუნდაც უმცირესი წვლილი მიუძღვის."

მერაბ ანთაძემ ნაკრების პორტუგალიურ თამაშს სწორედ „მსოფლიო სპორტში" უყურა და დარბაზში დატრიალებული სიხარულიც გაიხსენა. კოკა ლაზიშვილი კი ბორჯღალოსნებს ლისაბონში ახლდა და კულუარული ამბებიც გადმოგვიშალა:

„წარმოიდგინეთ ჩვენი სიხარული, როდესაც საფრანგეთიდან პორტუგალიაში ჩასულებს მოულოდნელად ორი თბილისელი გულშემატკივარი დაგვხდა. ეს იმხელა მუხტი იყო, სიტყვებით გადმოცემა მიჭირს. სულ რაღაც წუთებში ისე დავმეგობრდით, თითქოს წლების ნაცნობები ვყოფილიყავით. თამაშამდე გვერდიდან არ მოგვცილებიან.

... მატჩამდე ორი დღით ადრე, 23 ნოემბერს სასტუმროდან გამოვედი და ლისაბონის ქუჩებში გავისეირნე. უცებ ქართული ლაპარაკი გავიგონე. ვიღაც კაცი იმერული აქცენტით, ტელეფონით ვიღაცას გიორგობას ულოცავდა. ლაპარაკი რომ დაამთავრა, მივედი და ვის ულოცავ-მეთქი, ვკითხე. კინაღამ გაგიჟდა სიხარულისგან, როდესაც გაიგო, რისთვის ვიყავი ჩასული, მაშინვე გადარეკ-გადმორეკა და თუ პორტუგალიის ტერიტორიაზე ქართველს იცნობდა, ყველას ლისაბონის სტადიონზე უხმო. დაახლოებით ოცდახუთი კაცი მოგროვდა. ისეთი ქომაგობა გააჩაღეს, მთელი სტადიონის ხმა გადაფარეს. ნამატჩევს ყველა გვეკითხებოდა, ამდენი გულშემატკივრის ჩამოყვანა და ასეთი ორგანიზება როგორ მოახერხეთო. ამ ოცდახუთ ქართველს ბორჯღალოსნების წარმატებაში მართლაც ლომის წვლილი მიუძღვის.

... ყოველი თამაშის წინ ნაკრები ერთ ტრადიციულ რიტუალს ასრულებს. მას შემდეგ, რაც მოედანზე გასვლამდე მწვრთნელები ბოლო დარიგებას მისცემენ, ბიჭები ცალკე ოთახში იკეტებიან და ერთად მამაო ჩვენოს კითხულობენ. უშუალოდ მოთამაშეების გარდა იმ დროს ოთახში არავინაა. პორტუგალიური მატჩის შესახებ ტელეკომპანია „იმედი" სპეციალურ ტელერეპორტაჟს აკეთებდა და ოპერატორმა მოკრძალებით მთხოვა, როგორმე ლოცვის გადაღების საშუალება მისცემოდა. ჩემთვის ამ თხოვნის შესრულება შეუძლებელი იყო და კაპიტანთან მივუშვი. ილო ზედგინიძემაც პირდაპირ უთხრა, პირობას ვერ მოგცემო, მაგრამ უეცრად, ლოცვის დაწყებამდე ილომ კარი გაალო და დაუძახა. ოპერატორს მეც შევყევი და ენით აუწერელი რიტუალის მოწმე გავხდი. ეს იყო ნამდვილი ვაჟკაცების სამზადისი დიდი ბრძოლის წინ."

გამარჯვებასა და სიხარულზე საუბართან ერთად რაგბის კავშირის პრეზიდენტმა სადღეისოდ შინაურ რაგბიში არსებულ კრიზისზეც ილაპარაკა:

„ქვეყანაში რაგბის განვითარების ხერხემალი შიდა ჩემპიონატი უნდა იყოს, მაგრამ მიზეზთა გამო ამ მხრივ ძალიან გვიჭირს. თუ კლუბების ფინანსური მდგომარეობა არ გამოსწორდა, წლების შემდეგ წარმატებები ისტორიას დარჩება. კონკურენტ ქვეყნებში რაგბიში უზარმაზარი ფინანსები იდება. ჩვენთან კი... მართალია, სახელმწიფოს მხრიდან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. შიდა რაგბით ბიზნესმენებიც უნდა დაინტერესდნენ."

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ბრწყინვალე ათეული მელბურნიდან



მარცხნიდან მარჯვნივ: დავით კინწურაშვილი, იური ოსიპოვი, ილარიონ ხაზარაძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, დავით ციმაკურიძე, რევაზ ცირეკიძე, გურამ საღარაძე, მირიან ცალქალამანიძე, ვახტანგ ბალავაძე და გიორგი სხირტლაძე (2000 წელი)

ამ ღვაწლმოსილ, დარბაისელ ადამიანებში ახლა ძნელია ამოიცნო ცეცხლოვანი ტემპერამენტითა და დაუოკებელი ჟინით ალსავსე ულამაზესი ახალგაზრდები, ოდესღაც ასე რომ ბრწყინავდნენ მსოფლიოს უდიდეს სპორტულ სარბიელებზე.

ისინი ერთმანეთს ხშირად ხვდებიან, მაგრამ დღევანდელი, რვა დეკემბერი მაინც გამორჩეული და, ამიტომ ტრადიციული შეხვედრის დღეა — ზუსტად ორმოცდაათი წლის წინათ, 1956 წლის რვა დეკემბერს საზეიმოდ დაიხურა მელბურნის ოლიმპიადა.

იმ ოლიმპიადის ათი ქართველი მონაწილიდან დღეს მხოლოდ ხუთი შეიკრიბება — გივი კარტოზია, მირიან ცალქალამანიძე, რომან ძნელაძე, ნოდარ გვახარია და ბორის ნიკიტინი ცოცხლები აღარ არიან. მათზე და მათ მაგივრად, ალბათ, გოგი სხირტლაძე, ვახტანგ ბალავაძე, ნადეჟდა დვალიშვილი-ხნიკინა, რეზო ცირეკიძე და იური ოსიპოვი ილაპარაკებენ.

ისინი სულ ათნი იყვნენ, ათნი — მრავალრიცხოვანი საბჭოთა სპორტული დელეგაციიდან, ათი ქართველი, რომლებმაც მსოფლიო სპორტის ისტორიაში უიშვიათეს წარმატებას მიაღწია — რვა ოლიმპიური მედალი (ორი ოქრო და ექვსი ბრინჯაო) მოიპოვა. რვა მედალი ათმა კაცმა! დანარჩენმა ორმაც საბჭოთა დელეგაციის ჩასათვლელი ქულები მოუტანა (გუნდური V ადგილებზე).

1956 წელი მსოფლიო ისტორიაში მხოლოდ მელბურნის ოლიმპიადის გამო არ შესულა. ეს იყო წელი, რომელმაც საბჭოთა რეჟიმის ვერაგობით და დაუნდობლობით კიდევ ერთხელ შეაძრწუნა კაცობრიობა.

ამის დასტურია თბილისის, ნოვოჩერკასკის, ვილნიუსის, ბუდაპეშტის, პრაღის ტრაგედიები.

საბჭოთა კავშირისთვის სპორტი იყო პოლიტიკის ნაწილი, საერთაშორისო ასპარეზზე თავის დამკვიდრების საშუალება. სწორედ სპორტს, განსაკუთრებით, ოლიმპიურ თამაშებს კაცობრიობისთვის უნდა დაემტკიცებინა მმართველობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით. ოთხი წლით ადრე, ჰელსინკის ოლიმპიადაზე ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. ახლა, საბჭოეთის მთელი იმედები მელბურნზე იყო.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქნებ ახლანდელმა თაობამ მიახლოებით მაინც წარმოიდგინოს, რა ჯოჯოხეთურ წნეხში ატარებდნენ საბჭოთა ჩინოვნიკები საკუთარი ქვეყნის სპორტსმენებს.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ტრადიციულად და, განსაკუთრებით, სტალინის შემდგომ ეპოქაში, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ქართველი სპორტსმენის მოხვედრა ურთულესი პრობლემა იყო — იგი მთელი თავით მაღლა უნდა მდგარიყო მეტოქეებზე და, რაც მთავარია, ყოვლისმცოდნე და ყოვლგანმყოფ სუკს მის კეთილსაიმედოობაში ეჭვი არ უნდა შეჰპარვოდა.

ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ისტორია უნიჭიერესი დაშნით მოფარიკავის, რეზო ცირეკიძისა, რომელსაც 23 წლის ასაკში საბჭოთა სუკმა ქვეყნიდან გასვლა და შეჯიბრებებში მონაწილეობა აუკრძალა.

და მაინც, საბჭოთა სამელბურნო სპორტულ დელეგაციაში ათი ქართველი სპორტსმენი აღმოჩნდა. მოდით, ძალიან მოკლედ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ისინი:

გივი კარტოზია (1929-1998 წწ), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (79 კგ); მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, რომის ოლიმპიადის III პრიზიორი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული.

მირიან ცალქალამანიძე (1927-2000 წწ), თავისუფალი ჭიდაობა (52 კგ), მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატების II და III პრიზიორი, მსოფლიო თასის II პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო და საკავშირო ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორი.

გიორგი სხირტლაძე (1932 წ), თავისუფალი ჭიდაობა (79 კგ); მელბურნის ოლიმპიადის III პრიზიორი, რომის ოლიმპიადის II პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო და საკავშირო ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორი.

ვახტანგ ბალავაძე, 1927 წ. თავისუფალი ჭიდაობა (73 კგ); მელბურნის ოლიმპიადის III პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სამბოში, მრავალი საერთაშორისო და საკავშირო ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორი.

რომან ძნელაძე (1933-1966 წწ) ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (62 კგ); მელბურნის ოლიმპიადის III პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის ჩემპიონი, საერთაშორისო და საკავშირო ტურნირების მრავალგზის პრიზიორი (ტრაგიკულად დაიღუპა რომის ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონთან, ავთანდილ ქორიძესთან ერთად).

ნოდარ გვახარია (1932-1996 წწ), წყალბურთი; მელბურნის ოლიმპიადის III პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი.

ნადეჟდა დვალიშვილი-ხნიკინა (1933 წ), მძლეოსნობა; სპრინტერი და სიგრძეზე მხტომელი, მელბურნის ოლიმპიადის III პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი და სამგზის რეკორდსმენი, მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორი.

ბორის ნიკიტინი (1938-1984 წწ), ცურვა (თავისუფალი სტილი); მელბურნის ოლიმპიადის III პრიზიორი 4X200 მ. ესტაფეტაში, ევროპის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი და პრიზიორი.

რევაზ ცირეკიძე (1939 წ) ფარიკაობა (დაშნა); მელბურნში VI გუნდური ადგილი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი (გუნდურ შეჯიბრებაში) და მრავალგზის პრიზიორი პირად და გუნდურ ჩათვლაში, საბჭოთა კავშირის პირველი ქართველი ჩემპიონი დაშნით მოფარიკავეთა შორის, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პრიზიორი, მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი პირველი საბჭოთა დაშნით მოფარიკავე.

იური ოსიპოვი (1937 წ), ფარიკაობა (რაპირა); V ადგილი გუნდურ ჩათვლაში მელბურნის ოლიმპიადაზე, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი (გუნდურ ჩათვლაში) და ხუთგზის პრიზიორი (პირადში), საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი და ფინალისტი, მსოფლიო ახალგაზრდათა ჩემპიონატის პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი, მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორი.

ამ ბრწყინვალე ათეულმა მელბურნში მართლაც ფანტასტიკური წარმატებები მოიპოვა, მაგრამ ცოტა უიღბლობა, ცოტა მსაჯთა მიკერძოება და ცოტა გამოუცდელობა რომ არა, წარმატებები, ალბათ, კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. ამის დასტურია ისიც, რომ ოლიმპიადის შემდეგ ყველა მათგანმა სპორტული კარიერა წარმატებით გააგრძელა და მათი სახელები მრავალი წლის განმავლობაში ქუხდა მსოფლიოს სტადიონებზე, დარბაზებში, საცურაო თუ საფარიკაო ბილიკებზე.

1956 წლის 8 დეკემბერს, ზუსტად 50 წლის წინათ, მელბურნის ოლიმპიური თამაშები საზეიმოდ დაიხურა. 2006 წლის 8 დეკემბერს, მელბურნის ოლიმპიური თამაშების საზეიმო დაზურვიდან ზუსტად 50 წლის შემდეგ, ძველი ოლიმპიელები, ტრადიციულად კვლავ ხვდებიან ერთმანეთს, კვლავ იგონებენ გარდასულ დღეებს. თითქოს სადღაც ქრება ათასი ფიქრით, განსჯით, ავით და სიკეთით დამძიმებული 50 გრძელი წელიწადი — ისინი, ეს ჭაღარით მოსილი დარბაისელი ადამიანები ისევ ის გოგი, ვახტანგი, ნადია, რეზო და იურაა, ერთ დროს თავიანთი სპორტული მიღწევებით მსოფლიოს რომ აოცებდნენ.

დრო ძალიან სწრაფად გადის. ჩემპიონებისთვისაც და იმათთვისაც, ვისაც ამქვეყნად ჩემპიონების არსებობა უნდა ახსოვდეს. არ გეგონოთ, ისინი ქვეყნისგან, სახელმწიფოსგან რამეს ითხოვდნენ. პირიქით, თავის ქვეყანას, თავის ხალხს მათ მისცეს ყველაფერი, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ჩათვლით.

ჩვენ ერთადერთი რამ გვევალება — თანამედროვეობას და შთამომავლობას არ დავუკარგოთ ამ დიდებული ადამიანების ღვაწლი.

**თეიმურაზ ქორიძე**





ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთის ახალი ელჩები

### როჯერ ფედერერი და ამელი მორესმო

პროფესიონალ საჩოგბურთო ჟურნალისტთა ფედერაციამ (ITWA) წლის საუკეთესო ჩოგბურთელები დაასახელა — როჯერ ფედერერი და ამელი მორესმო. შესაბამისი პრიზები შვეიცარიელსა და ფრანგს გუშინ გადასცეს.

ისე, წლეულს ძალიან იოლი იყო საუკეთესოების გამოვლენა, „მხიარულ როჯერზე" ხომ საუბარიც არ ღირს — სეზონში მოგებული 12 ტიტულიდან, სამი სლემტურნირი იყო. გარდა ამისა, ფედერერმა წელიწადიც მაჟორულ ტონზე დაასრულა, როცა მასტერსის თასი ზეალმართა და მთელი რიგი რეკორდები მოხსნა. ასე რომ, ენა არავის მოუბრუნდება, თქვას, ITWA-ს მიერ შვეიცარიელის ზედიზედ მესამედ საუკეთესოდ დასახელება დაუმსახურებელიაო.

ეს პრიზი ამელი მორესმოზეც ალალია, რომელსაც კარიერაში ასე კარგად არასოდეს უჩოგნავია. ფრანგმა ხომ წლეულს ნავსი გატეხა და როგორც იქნა, სლემტურნირი მოიგო, თანაც ორი — ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი. ამელის წარმატებები მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა, რადგან მან აშშ-ს ღია ჩემპინატის ნახევარფინალში ითამაშა და წლის შემაჯამებელ ტურნირის ფინალშიც გავიდა.

აღნიშნული პრიზების გარდა ფედერერსა და მორესმოს ამ თამაშის განვითარებისა და მსოფლიოში პოპულარიზაციისთვის ჩოგბურთის საპატიო ელჩების სტატუსიც მიანიჭეს.

**ბაჩა ლომაშვილი**

## ლადო და ავსტრიელი მაგი

**წარმატებით** დაიწყო სეზონის ბოლო ტურნირზე თამაში საქართველოს სადევისთასო ნაკრების მეორე ნომერმა ლადო ჩიხლაძემ. ჩეხეთის ქალაქ ოპავას ჭერქვეშა ხალიჩაზე ლადო პირველ წრეში კორტის მასპინძელ დავიდ ნოვაკს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ბოლო მომენტში ცვლილება მოხდა და ქართველი ნოვაკის მაგივრად 19 წლის შვეიცარიელს, კლასიფიკაციაში 787-ე ადგილზე მყოფ ალექსანდერ სადეცკის დაუპირისპირდა.

ჩიხლაძემ მეტოქე იოლად — 6:3 6:3 დაჯაბნა და მეორე წრეში 25 წლისა და რეიტინგის 908-ე საფეხურზე მყოფ ავსტრიელ კრისტიან მაგს შეხვდება, რომელმაც, თავის მხრივ, პირველ ეტაპზე მე-5 ნომრად განთესილი ფრანგი ალექსანდრ რენარდი ჩამოიცილა გზიდან. ავსტრიელმა პირველი სეტი 6:2 მოიგო და მერე ფრანგმა თამაში შეწყვიტა.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# უზაზაო ატლანტამ ზარზეიმი მოიწყო

6 დეკემბერი

**დენვერი 96:98 ატლანტა**
დენვერი: მილერი (10), ჯეიარ სმიტი (12), ენტონი (24), ნახერა (8), კემბი (11); დიავარა (11), ბოიკინსი (10), ევანსი (6), კლეიზა (4)
ატლანტა: ლუ (16), ჯონსონი (27), სმიტი (15), შ. უილამსი (7), რაიტი (4); სტუდემაიერი (21), ჯონსი (2), ფრეი (3), აივი (3), ბოზმანი
*ფაჩულია დისკვალიფიცირებული იყო*

**ინდიანა 94:80 ორლანდო**
ინდიანა: ჯექსონი (26), ჰარინგტონი (26)
ორლანდო: ჰოვარდი (20), ჰილი (16)

**კლივლენდი 95:91 ტორონტო**
კლივლენდი: ჯეიმსი (26), მარშალი (19)
ტორონტო: ბოში (18), პარკერი (18)

**შარლოტი 96:96 სან ანტონი**
შარლოტი: მეი (18), უოლესი (15)
სან ანტონიო: დანკანი (25), ჯინობილი (13)

**ბოსტონი 96:98 მემფისი**
ბოსტონი: პერესი (25), გრინი (28)
მემფისი: ატკინსი (19), რობერტსი (18)

**ნიუ იორკი 102:113 ვაშინგტონი**
ნიუ იორკი: კარი (22), მარბერი (16)
ვაშინგტონი: არენასი (38), ჯემისონი (33)

**მილუოკი 102:94 პორტლენდი**
*ოვერტაიმში*
მილუოკი: რედი (33), პატერსონი (26)
პორტლენდი: ჯეკი (30), რენდოლფი (20)

**მინესოტა 90:84 ჰიუსტონი**
მინესოტა: გარნეტი (24), ჯეიმსი (19)
ჰიუსტონი: ოლსტონი (16), ჰედი (16)

**ჩიკაგო 121:94 ფილადელფია**
ჩიკაგო: გორდონი (31), დენგი (21)
ფილადელფია: აივერსონი (25), დალამბერი (15)

**ლეიკერსი 89:105 ნიუ ორლეანი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (24), ოდომი (20)
ნიუ ორლეანი: პოლი (26), ბატლერი (22), პარგო (21)



ატლანტელთა სიხარული ჯორჯ კარლს კოშმარად ექცა

**ორი** დღის წინ სიეტლში იდაყვის უშნოდ მოქნევა ზაზა ფაჩულიას იმად დაუჯდა, რომ „ატლანტა ჰოქსის“ მიერ სეზონის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზად მოგებულ მატჩში ვერ ითამაშა. „ქორები“ დენვერში სიეტლიდან ჩაფრინდნენ, სადაც „ზებგერითებთან“ უიმედოდ წააგეს და ამ მატჩის მესამე მეოთხედის ბოლო წუთზე ქართველმა ცენტრმა ფრანგ ჟოან პეტროს იდაყვი უხეშად გაჰკრა და ნბა-მაც ზაზა ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ფაჩულიას ადგილი ფარქვეშ ლორენც რაიტმა დაიკავა, მაგრამ ატლანტელთა შეტევის ეპიცენტრმა სულ სხვა ფრონტზე გადაინაცვლა. „ქორების“ მახვშ ჯო ჯონსონს ფაჩულიას მაგივრად დაახლოებით მისივე ზომა-წონის სალიმ სტუდემაიერი დაუდგა გვერდში და სტუმრებმაც ძირითადად ამათი ხელმაჯვეობის წყალობით შეუტრიალეს თითქმის მოგებული მატჩი დენვერელებს.

დენვერში სათამაშოდ კრძალვით ჩადის ნებისმიერი გუნდი, თუნდაც თავს 10-მატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებდეს და ფრთებშეკვეცილ „ქორებს“ რომ იოლი განავარდება არ ელოდათ მთიან კოლორადოში, ეს თამაშის სამმა მეოთხედმაც ცხადყო. უხვქულიანობას ნაჩვევმა „დენვერმა“ ატლანტელების კალათს ბურთები სეტყვასავით დააყარაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ რაც მასპინძლებმა სტუმრებს სამ მეოთხედში უქნეს, თამაშის მოსაგებად სრულიად საკმარისი იყო. „ნაგიტსს“ პირველ ტაიმში გაუჭირდა, თორემ მესამე პერიოდში „ატლანტა“ ისე დაჩაგრა, რომ ეგრე ჩაფლავებული გუნდი გადამწყვეტ 12-წუთეულში თუ მოფერიანდებოდა და მოსაგებადაც გაიწევდა, ალბათ ქორების გამწვრთნელ მაიკ ვუდსონს თუ ეიმედებოდა მხოლოდ. დენვერელებმა ნახსენებ პერიოდში 31:13 მიანგრიეს „ატლანტა“ და თამაშის ბოლო შესვენებაზე 14-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. ეს იყო და გალაღებულმა „დენვერმა“ ამოისუნთქა, მერე კი „ქორებმა“ ისე შეუბერეს, მეტოქეს ჩასუნთქვის საშუალება აღარ მისცეს — ბოლო წამებზე კი ახალბედა შელდენ უილიამსმა „ატლანტას“ საამაყო გამარჯვება მოუტანა.

„ჩვენ ლიდერობა მოვიპოვეთ და თამაშიდან გამოვეთიშეთ — სწორედ აღნიშნა დენვერელთა მრავლისმნახველმა მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა — იმ ჩაგდებული ბურთის შემდეგ ყველა ერთიანად მოეშვა, რაკი სოლიდური სხვაობით დაწინაურება მათ მოგების გარანტიად მიიჩნიეს“.

რომელი ბურთი იგულისხმა კარლმა და ლინას კლეიზას მიერ თამაშის დასრულებამდე 9 წუთით ადრე ჩატენილი, რის შემდეგაც ანგარიში 84:69 გახდა „დენვერის“ სასარგებლოდ.

„ბოლო მეოთხედში ჩვენ ზონურ დაცვას მივმართეთ, რაც ძალიან ეფექტური აღმოჩნდა მეტოქის შესაჩერებლად. „დენვერი“ ბურთს ფაქტობრივად ვეღარ აგდებდა, ჩვენ კი ხელ-ფეხი გაგვეხსნა“ — თქვა ჯო ჯონსონმა, რომელმაც მთავარმექულეობა ბოლო კვირის საუკეთესო ბომბარდირ კარმელო ენტონისთან პაექრობაში მოიპოვა.

არადა, „მელო“ ახლოს იყო „დენვერის“ შიდაგუნდური რეკორდის დამხობასთან, რომელიც ლეგენდარულ ალექს ინგლიშს ეკუთვნის, ვინც ზედიზედ ექვს მატჩში 30-ქულიან ზღვარს არ ჩამოსცდენია. ენტონიმ ინგლიშის რეკორდი გაიმეორა და მეშვიდე საფეხურზე, „ატლანტასთან“ მატჩში დაუცდა ფეხი — 24 ქულა ჩააგდო.

გამარჯვება კი ასე მოიპოვა „ატლანტამ“: გაუვალი ზონის დაყენების შემდეგ „ქორებმა“ 13:0 მოიგეს რამდენიმეწუთიანი მონაკვეთი და „დენვერს“ ქულით მიუახლოვდნენ. მერე თანაბარი თამაში გაგრძელდა, ლიდერი წამდაუწუმ იცვლებოდა და ბოლოს შელდენ უილიამსი დადგა საჯარიმო ხაზზე.

„ასეთ სიტუაციაში არაერთხელ ვყოფილვარ „დიუკის“ უნივერსიტეტში რომ ვთამაშობდი — იხსენებდა ნამატჩევს უილიამსი — ამ სროლებს ისე შევხედე, როგორც უბრალო საჯარიმოებს და არა როგორც თამაშის მომგებს. ამან მიშველა და ორივე ჩავაგდე“.

„დენვერს“ თამაშის გადასარჩენად რამდენიმე წამი რჩებოდა, მაგრამ გამთანაბრებელი ვერც ანდრე მილერმა ჩააგდო და ვერც მარკუს კემბიმ.

ოვერტაიმი მაინც გამოცხვა, ოღონდ „მილუოკისა“ და „პორტლენდის“ შერკინებაში. მაიკლ რედის ჩაუქრობით მოფერიანებულმა „ხარირმებმა“ პორტლენდელებს ლამის წაგებული მატჩი შემოუტრიალეს. ძირითადი დროის ბოლო წუთზე ზაკ რენდოლფმა რამდენჯერმე ხელსაყრელი პოზიციიდან აცდინა ბურთი, თორემ ოვერტაიმი აღარ გაიმართებოდა. დამატებით ხუთწუთეულში მილუოკელები „პორტლენდმა“ ვეღარ შეაჩერა და დასავლეთის კონფერენციის ფსკერზე „მემფისს“ შეუამხანაგდა.

გამორჩეული შედეგი დაფიქსირდა ჩიკაგოში, სადაც „ფილადელფიას“ სასაკლაო მოუწყვეს „ხარებმა“. „ბულზმა“ შური იძია ალენ აივერსონის გუნდზე, რომელმაც გასული თვის 24-ში ჩიკაგოელები 123:108 შეარცხვინა. ეს იყო „ბულზის“ მიჯრით განცდილი მეექვსე მარცხი და მას მერე ჩიკაგოელებს ზუსტად მეექვსე მატჩია, აღარ წაუგიათ.

აივერსონმა კი დაჩაგრა პირადმეურვე კირკ ჰაინრიხი, მაგრამ ფილადელფიელებმა ჩიკაგოელი ბენ გორდონის შეჩერება ვერაფრით მოახერხეს. ბენმა 33 წუთში 31 ქულა დაასეტყვა 76-იანელებს და ფილადელფიაში კუდამოძუებულები გააბრუნა.

**ირაკლი პერტაია**

# ქართველებმა ანგარიში საფრანგეთში გაასწორეს



ვახტანგ ნაცვლიშვილი

**ჯგუფური** ტურნირის ბოლოსწინა ტური გაიმართა ევროთასზე, სადაც A ჯგუფში ერთად არიან ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონი“ და ვიქტორ სანიკიძის „ესტუდიანტესი“. ამ ტურში სწორედ ეს გუნდები ხვდებოდნენ და მოედანზე ორივე ქართველს მოუწია გასვლამ.

პირველი წრის „ქართული დერბი“ ესპანეთში „ესტუდიანტესმა“ მოიგო. ის გახლდათ ვახტანგ ნაცვლიშვილის საუკეთესო საამსეზონო მატჩი, მაგრამ დიჟონელების გამარჯვებას ეს არ ეყო. ამჯერად ფრანგულ გუნდს რევანშის აღების კარგი შანსი ჰქონდა და დიჟონელებმაც შინ აუღელვებლად იმარჯვეს — 81:75.

თუმც დასაწყისში მასპინძლებს როდი ულხინდათ. პირველი მეოთხედის 25:21 მოგების შემდეგ „დიჟონი“ მოეშვა და „ესტუდიანტესმაც“ დიდი შესვენებისთვის სხვაობა შეამცირა, გადამწყვეტი ათწუთეულის წინ კი სულაც გალიდერდა — 58:56.

ნაცვლიშვილმა 29 წუთი ითამაშა და დიჟონელებს 10 ქულითა და 5 მოხსნით შეეწია. სანიკიძეს შედარებით მცირე ხნით მოუწია მოედანზე ყოფნამ და მან 7 წუთში 2 ქულა და თითო მოხსნა-ჩაჭრა გაახერხა.

„დიჟონმა“ ბოლო მეოთხედში გატეხა ესპანური გუნდი და ენტონი ლუქსის ჩაუქრობით 15:5 მოგებული სამწუთეულის შემდეგ 8-ქულიანი ლიდერობა მოიპოვა.

ესპანელებმა გონსალო მარტინენსის შეუპოვრობის ხარჯზე გაიბრძოლეს, „დიჟონს“ 2 ქულით მიუახლოვდნენ, მაგრამ საქმის სათავისოდ დაგვირგვინება ვეღარ მოახერხეს.

„ესტუდიანტესი“ 4 მოგების შემდეგ პირველად დამარცხდა, თუმც ჯგუფის ლიდერობა მაინც შეინარჩუა, მეორე-მესამე ადგილებს კი „დიჟონი“ და ებრაული „ნაპარია“ იყოფენ. ბოლო ტურში „დიჟონი“ ჯგუფის მაჩანჩალნა რუმინულ „პლოშტს“ მასპინძლობს და მოგების შემთხვევაში პლეი ოფში გადის. მეორე მეპლეიოფეს კი „ესტუდიანტესისა“ და „ნაპარიას“ მადრიდული მატჩი გაარკვევს.

**ირაკლი პერტაია**

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

6 დეკემბერი

**ვაშინგტონი 6:2 ოტავა**
*2:0 1:1 3:1*
1:0 ბრედლი (16), 2:0 კლარკი (17), 2:1 ფიშერი (29), 3:1 კლარკი (34), 3:2 სპეცა (46), 4:2 სიომინი (47), 5:2 პეტინგერი (51), 6:2 ლაიხი (52)

**ნიუ ჯერსი 2:1 მონრეალი**
*0:1 0:0 1:0 1:0 (ოვერტაიმი)*
0:1 ბონკი (4), 1:1 პარიზე (35), 2:1 ელიაში (65)

**დალასი 3:0 ფინიქსი**
*1:0 1:0 1:0*
1:0 ზუბოვი (3), 2:0 რიბეირო (38), 3:0 ბუშე (58)

**ედმონტონი 3:1 კაროლინა**
*0:0 2:1 1:0*
1:0 ვინჩესტერი (23), 1:1 ადამსი (32), 2:1 სმითი (39), 3:1 პისანი (42)

**ანაჰაიმი 4:0 ნეშვილი**
*1:0 1:0 2:0*
1:0 სელიანე (20), 2:0 გეტცლაფი (30), 3:0 სელიანე (50), 4:0 კუნიცი (56)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ზაზა სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge